



# როლანდი

E-mail: roland\_jalagania@yahoo.com



№147 (206) 29 ნოემბერი - 6 დეკემბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

## ფანი ღამაღვით კვირსხეზე... წყალობა ჰყავით!

„ფანი ღამაღვით, გულზე ღამაღვით ფანი ყოველგან, წყალობა ჰყავით...“ – დავით აღმაშენებლის ეს ისტორიული სიტყვები ჩვენმა დიდმა პოეტმა ქალმა ანა კალანდარიძემ თავის ლექსში ჩააჩუქურთმა. დიას, დავით აღმაშენებელმა, თავისი უზომო ღვაწლის მიუხედავად, თავდაბლობის უბადლო მაგალითი დაგვიტოვა ამ ანდერძით – ცოდვილი ვარ და დავ, გელათის წმინდა ტაძარში შემოსვლელმა ყოველმა ქრისტიანმა მლოცველმა გულზე ფეხი დამადგასო!

გავიდა თითქმის 900 წელი და საქართველოს „მეორე შარბანტაშვილი“ და „უახლესი ისტორიის შემოქმედმა“ (განა საზეიმოდ არ აღნიშნა: საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყება...!) საქართველოს უდიდესი მეფის საფლავთან ფიცის კი დადო, 7-8 წელიწადში ყველაფერი „აღაშენა“ კიდევ და როდესაც შეატყო, სიკვდილამდე მეფობა აღარ გამოძისო, „თავდაბლობის ძეგლი“ ახლავ დაიდა: „ბათუმის“ კედლისონი“ ხომ დღეს ჩვენი გელათიც არის, სიონიც და ალავერდიც! ჰოდა, სწორედ იმის წინ დაიდა საკმაოდ ამოუხსნელი და გაუგებარი კომპოზიცია: „შლოპანცის ღამაღვით“ კვირსხეზე... წყალობა ჰყავით!”

რაც შეეხება იმას, თუ ვისი ან რისი კვერცხებია შუა ბათუმში გამოჩუქურბული, მაგაზე მკითხაობას ახლა არ დავიწყებთ – მთავარია, რომ „კვერცხობა“, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ ამ „ქმინდებაზე“ დიდი გაწამაწაც გამოიხატა: დედაქალაქის მერს (ჯერჯერობით დედაქალაქად კვლავ თბილისს ვგულისხმობ) ისე მოსწონებია „კვერცხობის“ ძეგლის პროექტი, რომ მისი პატარა მაკეტი ახლაც კაბინეტში უდგას თურმე, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაზე „ტურის-ტულ-სტრატეგიულ“ ქალაქში გადაწყდა ყველაზე „კვირსხე-ტურისტულ-სტრატეგიული“ შლოპანცის დადგმა.

თბილისზე, როგორც დედაქალაქზე, „კვირსხეობა“, რომ ვთქვით – ცხადია, ქუთაისის „გადედაქალაქება“ ვიგულისხმებთ და იმის მიუხედავად, რომ ამაზე ადრეც არავითხედ ვისაუბრეთ, მაინც არის სიახლე: ესენი ეტყობა, აღარ ხუმრობენ და პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს მხოლოდ ორი კვირის ვადა მისცეს გადაწყვეტილების მისაღებად – ან ქუთაისში გადმოხვალთ საცხოვრებლად და სამუშაოდ, ან დარჩებით აქ უმუშევრად და აგე – ოპოზიციის მიტინგებზე, ადგილი

უამრავი, იარეთ იყვირეთ და გულზე მჯიღი იბრაგუნეთ...

სამაგიეროდ, მალე ქუთაისი გახდება ყველაზე „დასაქმებული და გაძევებული-გაკვერცხებული“ ქალაქი საქართველოში. სხვათა შორის, რუსეთისგან „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში“ გაწევრების სანაცვლოდ „ვითომ“ გამოგლეჯილი დათმობაც საზღვრების მონიტორინგის შესახებ, „ბლევი“ აღმოჩნდა: შევიცარიელები მხოლოდ სახმელეთო საზღვარს გააკონტროლებენ?! ე.ი. თუკი რუსებს იარაღის ან სხვა „მამაპაღლობის“ შემოტანა დასჭირდათ და ამისთვის თვითმფრინავები ან საზღვაო ტრანსპორტი გამოიყენეს, ჩვენც და იმ შევიცარიელებმაც ქვევიდან ახვდეთ ან ხდვის ნაპირიდან გაგხედოთ და დაგინახეთ, რაზეც დაგვიკიდებენ.

ან – კიდევ უფრო მარტივი სიტუაცია: ვთქვათ, მოადგა „კალაშნიკოვებით“ ან თუნდაც ჯავშანტექნიკით დატვირთული კოლონა როკის გამოსასვლელს, ან ფსოუს ხიდს და, „შემთხვევით“, მონიტორინგის ტექნიკა დაზიანდა, უცხოელებს, რომლებსაც მხოლოდ „ელექტრონული მონიტორინგის“ უფლება აქვთ, ხოლო ტვირთის შეჩერება კი არ შეუძლიათ (თანაც, ეს ყველაფერი დიდად არ ადარდებთ), გგონიათ, პასუხს მოვიხებთ?

და რაც ყველაზე მთავარია: ამ წინადადებას რუსები თვითონ გეთავაზობდნენ ადრე, რაზედაც კატეგორიულ უარს ვაცხადებდით, და ახლა რაღას მიიმუშობთ და არტისტობთ, თქვე მართლა ჩემის შესაზღვრებელი?

კარგი, ჯანდაბას მაგათი თავი... ცხინვალის არჩევნებზეც ვთქვით ორიოდ სიტყვა: არ ვიცი, მეორე ტურში რა მოხდება, მაგრამ პირველი ტური ძალიან „სავარაუდო“ იყო – 32 ათასი რეგისტრირებული ამომრჩეველიდან შუადღისთვის მესამედზე ნაკლებს ჰქონდა ხმა მიცემული, ზუსტად იმდენს, კომისიის რამდენი წევრი და დაცვის თანამშრომელიც იყო უბნებზე! თვით კოკითსაც ბევრი უცინია ამ სტატისტიკაზე. ბოლოს მიუყვანიათ ორი მესამედი და, პრეზიდენტად რომ უნდა დასვან, იმ ბიბლიოლეს 24% მიუღია. ახლა დაგვთვალეთ: 32 ათასის 2/3 არის დაახლოებით 21000 და ამის 25% არის 5000!

ესეც ჩვენი ამოცანის პასუხი: 5000 კაცის არჩეული „პრეზიდენტი“ რომ თავზე წამოგაჯდებოდა და გაიძულეს, „შევიცარიელი მონიტორინგი“ დაუყენო (მერე რა, რომ რუსეთის ზურგით), ზუსტად ის ძეგლი

გვეკუთვნის, რაზეც ამ წერილის შესავალში მოგახსენებდით...

ამბობენ, შემთხვევითი არც ის იყო, რომ განახლებული „პლენაროვის გამზირის“ სანახავად მისულ სააკაშვილს სომეხი ქალბატონი რომ დაახვედრეს, რომელიც თურმე შემდეგი სიტყვებით მიესალმა პრეზიდენტს: „ყველაფერი კარგად არის, ჯანა...“ იცის სააკაშვილმა, რომ ქართველებს მისი, როგორც საქართველოს მტერი სომეხის, მიმართ საკმაოდ დიდი სიძულვილი დაუგროვდათ და ამიტომაც ეშინათ ქართველებსაგან წამოსული რაიმე „მოულოდნელობის“, თუმცა, ისიც უნდა იცოდნენ „ნაციონალებმა“ და მათმა ბელადმა, რომ კანონზონიერება, ნორმალური ხალხისათვის, მოულოდნელობა არ უნდა იყოს!

ისე, „კვერცხების“ გაფეტოება ნამდვილად არ უნდა გაგვიკვირდეს იმ ხალხისაგან, რომელთაც ქალაქის ცენტრიდან დავით აღმაშენებლის ძეგლი გაიტანეს და მის სანაცვლოდ ველოსიპედის და ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ძეგლები დადგეს – იმ რეიგანისა, რომელიც სიკვდილის შიშითაც კი ვერ მიგანიშნებდათ მსოფლიოს რუქაზე საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას. თუმცა, „კვერცხები“ და „რეიგანი“, ალბათ, მაინც სრულიად ახალ და გარკვეულ პოლიტიკურ გზაზე წაიყვანეს ამერიკელებისადმი: „ზმლაშო, როგორ ბშიმ-მარხარო, ამიტომ, იძნებ ცოტა ხანი კიდეც დაგვტოვოთ“ „ნაციონალბო“ და მიხეილ სააკაშვილის სამართავლო ხელისუფლებას!

P.S. კიდევ ერთი „მიღწევა“, რითაც „მეორე აღმაშენებელი“ ამჟამად, სამართლიანი სასამართლოა. ის, „ძეგლი და დრომოჭმული“ აღმაშენებელი „გალობანი სინანულიანში“ წერდა: „მსაჯულნი მართალ სჯიდენ... მართალნი ნეტარებდნენ, ცოდვილითა ჰგვემდეს ცეცხლი“, აქ კი – „აღმაშენებულ-შლოპანცის-მონიტორინგის“ საქართველოში გასულ კვირაში ციხიდან თერამეტი წლის ქალიშვილი გამოვიდა, რომელიც 13 წლისა დაიჭირეს და სრულად მოახდევინეს სასჯელი არჩადენილი დანაშაულისთვის!

...ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ოპოზიციისაც მეშინია... თორემ ამათ, ბოლოს და ბოლოს, მართლაც დაადგამენ კვერცხებზე ფეხს, ისეა ხალხი გამწარებული. მაგრამ მერე ოპოზიციამაც რაიმე, „კვერცხებზე“ უცნაური ძეგლი არ წამოგვიჭიმოს უაღალო ალაგას...

რაც შეეხება არაქართველ ვითომ „აღმაშენებელ“ სააკაშვილს, რომელმაც განახლებულ აღმაშენებლის (ყოფილი – „პლენაროვის“) გამზირზე მორიგი განსერიანებისას ვერსაგზით ვერ გაიხსენა პროსპექტის თანამედროვე სახელი და სულ „პლენაროვად“ მოიხსენიებდა, ახლა იოლად მიხედვით, რომ მისი ტრფიალი მეფეებისადმი მხოლოდ ძალაუფლებისადმი ბრმა სიყვარულით არის განპირობებული და არა მამულისადმი უსახვერო სიყვარულით, თორემ ნამდვილი აღმაშენებლის ძეგლს ველოსიპედად წოდებული ჯართით არ შეცვლიდა სასტუმრო „ივერიასთან“!

თქვენ კი იხახით, ეს კაცი აგვაშენებო... მანამდე არაფერი გეტყვით! ეს წერილი მინდა გაგასრულო შესანიშნავი ქართველი რეჟისორის რეზო ესაძის სიტყვებით:

„დიას, მას (ქართულ გენს) არ დასჭირდა პრაგმატული სამყაროს ყოველწამიერი ცხოვრებიდან ბილწი ილეუების სესხება თავის გადასარჩენად, ისე გამოატარა საუკუნეებში თავისი შურსყვენილი სული, საპირისპიროდ ჩემი გადადღისა!... ასე მოვედით დღემდე, ჩემი მსგავსი ადამიანების გონიერი და სულიერი უბადრუკობით გავერანებული, სისხლიან ჭრილობებში გახვეული დედამამშობლოთი, დაქცეული გონიერებითა და კოჭლი სულით! მაგრამ კოჭლ სულს სულაც არ უჭირს ხელშეხება, სისხლიანი დროების მიერ გადარჩენილ უმანკო სივრცეში სულის მოთქმა და გასაოცარი ელვისებურობით, თავის თავის რეანიმაციით კვლავაც ხელშეხებები სივრცის ადღენა, მის გვერდით ისეთი გადამდები ყველაფრით დადგომა, როგორც სხვა მსგავსი დგება ჩემ გვერდით, იმის გვერდით კიდევ სხვა, კიდევ კიდევ და მთელი ერის, ქართული ჯიშისა და მოდემის ხელშეხებები სივრცე უსწრაფესი სიჩქარით ივსება! ესაა უმოწყალო დროებაში გადარჩენილი ქართული გენური სივრცე, ყველაფრის მცოდნე და თავისი თვითმყოფადობით ისეთი შეუვალი, რომელსაც უფლება აქვს, მე ვარ, მე – იყვიროს: „დიას, ეს მე ვარ, მე ვარ, მე – ქართული, უდაბურ სისხლიან საუკუნეებში გამოტანილი ქართული სიქართული... ერთობ ყველასათვის მისაღები და მომწუსსავე, დამწუხრებელი და გადამდები, მაღალი ღმერთისადმი მიმართული შინაგანი და გარეგანი სილიადობა.“

– დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა!

### ილია მეოქვა: „ჩვენ, პატრიარქობა, ყველაფერი უნდა გაგაკეთოთ იმისთვის, რომ მფრინოება და კეთილდღეობა აღგვს“

ეს განცხადება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ რუსეთის პატრიარქ კირილთან შეხვედრისას გააკეთა.

„ის კონფლიქტი, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებს შორის იყო და ახლაც არის, დია ჭრილობებია, რომელიც აუცილებლად უნდა მოვაშუშოთ. დარწმუნებული ვარ, ამას მოვახერხებთ“, – ბრძანა ილია მეორემ.

საქართველოსა და რუსეთის პატრიარქები ერთმანეთს მაცხოვრის ტაძარში შეხვედნენ და ქვეყნებს შორის არსებული პრობლემების მოგვარების აუცილებლობაზე ისაუბრეს. კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მოსკოვში თანხლებ პირებთან ერთად გაემგზავრა და მონაწილეობდა რუსეთის პატრიარქის 65 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

უწმიდესი მოსკოვში მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზეთსაც შეხვდა. 23 ნოემბერს კი მოსკოვის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სადღესასწაულო წირვა აღავლინა.

სამძინვროში.



### ილია მეოქვა: „ეკლესია ერთადერთი ინსტიტუტია, რომელიც ხალხებს შორის ურთიერთობებს განამტკიცებს“

როგორც ცნობილია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე მიმდინარე წლის 18 ნოემბერს მოსკოვში რუსეთის პატრიარქ კირილის დაბადების დღის აღსანიშნავ იუბილეზე დასასწრებლად გაემგზავრა. უწმიდესთან ერთად დელეგაციაში იმყოფებოდნენ მეუფე საბა, მეუფე გერასიმე, მეუფე ანდრია და მეუფე თეოდორე. საქართველოს პატრიარქმა წმიდა გიორგის ბორბალზე წამების დღეს, მოსკოვის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში წირვა აღავლინა.

ილია მეორეს მოსკოვში ვიზიტის ფარგლებში შედგა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევისა და პატრიარქ კირილის შეხვედრა სხვადასხვა ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებთან, რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც ესწრებოდა.

როგორც შეხვედრისას რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, „მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს შორის შეიძლება არსებობდეს ანგარიშგასაწევი სირთულეები, გლობ-

ალური, ეკონომიკური და იდეოლოგიური პრობლემები, ეკლესია არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც ხალხებს შორის ურთიერთობებს განამტკიცებს.“

„მსგავსი შეხვედრები კარგი შესაძლებლობაა იმისთვის, რომ მოხდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თუ როგორ ცხოვრობს ამა თუ იმ ქვეყნის ხალხი და როგორ ფუნქციონირებს ეკლესია. მართლმადიდებლური სამყაროს ერთიანობა – ეს არის მთავარი შემადგენელი ნაწილი საერთაშორისო განვითარებისა“, – განაცხადა დიმიტრი მედვედევმა.



# მსიგლავს "ილიორის" ილუზიული სკლა

დევნილი ჟურნალისტის ჩანაწერები

ღია ბარათი ჩემს მკითხველებს აფხაზეთიდან, და არა მხოლოდ მათ

ვინ იცის, ეს მერამდენედ უნდა მოვიდეს შენთან და გადაგიშალო გული. ვიცო, მოგაგნებ და ფურცლებში შორისებიდან ამოგაძახებ:

– გამარჯობა, ეს მე ვარ! სამი ათეული წელი ავითვალეთ ერთად. შენ – როგორც მკითხველმა, მე – როგორც ჟურნალისტმა.

ეს მე გეგაბაა ვლადის მანძილზე ქართული ბეჭდვითი მედიის ფურცლებიდან: "აფხაზეთის ხმებიდან", "კვირის პალიტიკიდან"...

თუ ჩემი გვარ-სახელი რამეს გეტყვის, მაშინ ჩვენი შეხვედრებიც შემდგარა და ეგ არის!

შენს გარეშე არცერთ ჩემს სიტყვას ფასი არა აქვს! მეტიც, შენს გარეშე, როგორც ჟურნალისტი, არც ვარსებობ!

ვოტყვი იმასაც, თუ რა ძნელი, მაგრამ საინტერესოა ჟურნალისტიკა.

მისი ყოველი ახალი მონაკვეთი, ხშირად განვილილზე უფრო საინტერესო, მომხიბლველი, დარდიანი და ხიფათიანია. ამიტომაც, ამ გზაზე შემდგარს, უკან ვერაფერი მოგვაბრუნებს. ჟურნალისტიკაში ბევრი რამ და ბევრი ვინმე მაპოვნინა, ბევრს შემხვედრა, ბევრთანაც დამაშორა. ხანდახან ყველაფრის მიტოვება მომდომებია, მაგრამ ფიქრით ოდნავაც ვერ მოვშორებივარ საყვარელ საქმეს, მყისვე უკან, ჩემს პროფესიულ "თავშესაფარში" შევბრუნებულვარ.

შენთვის და ჩემთვის ტკივილამდე ქდერადი სახელწოდების გაზუთ "ილიორიდან" პირველად გაწვდენ ხმას. მხიბლავს მისი იდეალური სვლა, ენგურის ხილზე "მესალღერებს" რომ ეპარება და ჩვენთვის ჩაკეტულ სივრცეს სწვდება. ვინ იცის, იქნებ ომით ნატკენი აფხაზი მკითხველის გულსაც დაედოს საღებუნად გულწრფელად ამოთქმული სიტყვა...

თუ ასე მოხდა, ჩავთვლით, რომ ფუჭად არ გავარჯიღვართ. როგორც კი ბოლომდე ჩაიკითხავ ამ ჩანაწერებს და გვერდზე გადავდებ, მე შენგან უხილავად მიგუჯდები მაგიდას და აფხაზეთის თემას ახლა სხვა კუთხით გადავიშლი. კვლავ შევივრებით ერთად და გავაგრძელებთ ბაასს შენსა და ჩემს დაკარგულ სამკვიდროზე, მის მზისფერ წარსულზე, თავსმხვეულ ომზე, აწმოსა და მომავალზე. გულს ნუ გაიტებს, ჩემო ცრემლებშეუშრალო...

ხვალინდელი დღე ჩვენია! ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში!

დაგვიანებული აღსარება ანუ ქართულ-აფხაზური გაუყოფელი სიდიდეები ქართულ-აფხაზური თანაცხოვრება

ერთ ეთნიკურ კუთხეში ერთ-მანეთის გვერდგვერდ ხანგრძლივ ურთიერთობებს გულისხმობს. ბევრად უფრო მეტის დამტკიცია ერთ ჭერქვეშ, ერთიანი ადათ-წესით ცხოვრების მაგალითები.

"მეხსიერება ტყვილად არც არაფერს იმასწავრებს და არც არაფერს იფიქრებს" – ამ ბრძნული შეკონებით მინდა გადავწიო ახლა ვლადის მძიმე ფარდა და საკუთარი ჭერქვეშ დანა ვოტკა ის, რასაც ვლადის განმავლობაში წარსულთან ერთად დავატარებდი. მომიტყვის მკითხველმა, თუკი ჩემი მონათხრობი ღრმად პირადული იქნება.

ამის გარეშე, მთავარი სათქმელი ვერ განზოგადდება. მის ამოთქმას აღსარების სიმძიმე აქვს – ტკივილითა და სიმწრით გადმოიტანება ქალაქზე, მაგრამ აფხაზ მოყვრებთან ურთიერთობის წლები ამ ჩანაწერის "უკან შებრუნების" უფლებას არ მაძლევს.

იგი უნდა ითქვას, გაცხადდეს და შემდეგ კი ნაბიჯ-ნაბიჯ იწყოს სვლა ჩვენს აფხაზთა გულებსაცკენ.

\*\*\*  
ვლადის წინათ, საკუთარი ნების უგულვებელყოფით (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი – მენტალური ძალადობით) აფხაზური ოჯახის რძალი გახვდა.

"ბედთან შეგუების" პროცესი საკმაოდ მძიმე გამოდგა, მსხვერპლად ყოფნა მძიმედაა, მაგრამ ჩემს აფხაზ მოყვრებთან: ანბუბთან, ადღეებთან, თარბებთან ურთიერთობა იმედის ნაპერწკალს მისახავდა, რომ გავიღოდა დრო... და ყველაფერი კარგად იქნებოდა.

მოგვიანებით (სულ რაღაც 5-6 თვეში) ჩვენი ქორწილის დღე დაინიშნა ამ მცირე დროში, იმდენად შევეთვისე აფხაზებს, რომ მათი წეს-ჩვევები ადვილად მისაღები გახდა ჩემთვის. აფხაზების პატარადას, არ მეხამუშებოდა, რომ ქორწილში მიპატივებული ხალხი, სიძე-პატარადას გვერდგვერდ ვერ გვიხილავდა.

უძველეს აფხაზურ წესს ოჯახი მოწივებით ინახავდა და მეც მორჩილებით მივიღე იგი. ვგრძნობდი, როგორ ვესისხლხორცებოდი მათ, რაზედაც ისინი დიდი სიყვარულით მპასუხობდნენ.

სხვა გზას, მაშინ მეც ვერ ვხედავდი. "ყველაზე მთავართან" შეუგუებლობა რომ არა, შეიძლება ცხოვრება სხვანაირად წარმართულიყო.

მიჭირს პასუხის გაცემა იმაზე, თუ სად უნდა გაკეთებულიყო არჩევანი – დავარწმუნოთ იდი სიყვარულით გარემოსილ ოჯახში და სანათესაოში, არ ამეწევა ჩემი ბუღდა, თუ... დევნილის დამამცირებელი სტატუსით მეცხოვრა ქართულ რეალობაში?

ჩემივე სურვილით, აფხაზური დედა-ენა გადავშალე და წერაკითხვის შესწავლას შევუდგე. მას ჩემი დედამთილი, დიდგვაროვანი აფხაზი ქალბატონი – მერი ანბა მასწავლიდა. ანბანი საკმაოდ ადვილად ავითვისე. ცოტა ხანში სასაუბრო აფხაზურიც ვისწავლე, რამაც საშუალება მომცა ოჯახში შემოსულ აფხაზ დედას, ბიძას, აფხაზურად მივსაღებოდი და მომეკითხა. მათ დიდ სიყვარულს, უბრალოდ, ასე ვუპასუხებ.

მაღე ოჯახში ჩვენი ვაჟი, ბაჩო დაიბადა – ჩემთვის და მათთვისაც ყველაზე დიდი, გაუყოფელი სიდიდე. პარადელურად იყო ჭიდილი ვერმთვინიერებულ ხვედრთან, მსხვერპლად ყოფნის შეუძლებლობასთან. იყო

აგრეთვე პირადი მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძობა – უპირველესად შვილის, შემდეგ კი ოჯახის, აფხაზი სანათესაოს წინაშე.

ეს ყველაფერი იყო მანამდე, სანამ აფხაზეთში მოვლენები არ დაიბადა, სანამ ხმამაღლა ყოფინამ არ გადაფარა აფხაზეთი. ჩემი ოჯახის წევრებმა ეროვნული სულისკვეთება არ მიაპტიეს. ამის მიზეზად, დღევანდელი გადასახედოდან, მათ მიერ საერთო (ქართულ-აფხაზური) ისტორიული წარსულის, ერთობისა და ცნობიერების დაკარგული გრძობა მიმანჩია. მათთვის ბოლომდე გაუგებრად

დარჩა თუ რატომ ვისწრაფოდი 9 აპრილის წლისთავზე თბილისისაკენ? თუ რატომ არ შემეძლო მერაბ კოსტავას დაკრძალვაზე დაუსწრებლობა?... შინ დაბრუნებულს ქალაქის სასამართლოდან გამოგზავნილი შეტყობინება დამხვდა, რომელიც ასე თარიღდებოდა: 1990 წლის 9 აპრილი.

ომამდე არეულობა შერეულ ოჯახებშიც დაიწყო, დაინგრა სისხლითა და ხორციით გადაჯაჭვული კავშირები, დასახინდა მოზარდთა სულები, გაიყო გაუყოფელი სიდიდეები. ოჯახში (სოხუმი, მშვიდობის გამზირი №46) ორნი დავრჩით, მე და ჩემი 14 წლის ვაჟი – ბაჩო, ორ ოჯახს შორის ვერგაყოფილი ერთი – მთლიანი. ჩვენი ოჯახის მეორე ნაწილმა, იქვე მეზობელ ქუჩაზე დაიდო ბინა. ბაჩო, ფაქტობრივად, ორ ჭერქვეშ იხრდებოდა.

ორივე მხარის უპირველესი საზრუნავი მოზარდის მომავალი იყო და ჩვენც მთელი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდით უმთავრესს. სკოლიდან სახლში მობრუნებული, ბუბიასთან მიდიოდა, სამსახურის შემდეგ კი, ორთავენი მშვიდობის გამზირზე ჩვენს სახლში ვრჩებოდით მარტო-მარტო.

მოზარდობისთვის ამქვეყნად ყველაზე დიდი ფასეულობა დედა და მამაა და ჩვენც – ორივე მხარე ვცდილობდით არ მიგვეყენებინა ჩრდილი ამ სიდიდეებისათვის.

აფხაზი ნათესაუბისათვის ოჯახის კარი კვლავინდებურად ღია იყო, ისინიც, არცთუ ხშირად, მაგრამ გვაკითხავდნენ. სტუმრობისას ვგრძნობდი, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ისინი მაინც თავიანთ რძლად მიმიჩნევდნენ.

ნებისმიერი ომი ტრაგედიაა. სამოქალაქო ომი – ორმაგი უბედურებაა ნათესაური კავშირით შეკრული ისეთი ხალხებისათვის, როგორებიც აფხაზები და ქართველები არიან. ამ ომმა მტრად აქცია მეზობელი, ნათესავი.

მეგობარი, ძმა, მოვარე, ის, ვისთანაც სულ ახლახან მწუხარებასაც ინაწილებდი და სიხარულსაც.

როგორც კი ტყვია გავარდა აფხაზეთში, ბაჩო თბილისში გაგზავნილი. მე კი შინ მარტო დავრჩი. ჩვენს გაზეთს – "აფხაზეთის ხმას" ომის დროს სიცოცხლე არ შეუწყვეტია და ქართველი ჟურნალისტები ამ საქმეს ბოლომდე ერთგულად ემსახურეთ.

1993 წლის ზამთარი უჩვეულოდ უხეთვლიანი იყო. ჭირდა ფრონტისპირა ქალაქში საწვავიც, შეშაც, წყალიც. აქაც ჩემი დედამთილი მაშველებდა ხელს: მათობდა, მოწვევებულს წყალს მაწვდიდა... თბილისში ბაჩოს აკითხავდა.

როდესაც გუმისთიდან ქალაქის დაბომბვა იწყებოდა, ჩვენ ერთ-მანეთს მხურავს ვარიდებდით. დღესაც ჩამესმის გუმისთის გაღმა მღვარი "ბოვიკების" მისამართით

მისი აღწვოთებით ნათქვამი ფრაზები: "დიდა ხაას, დიდა ხაას" (დმერთო ჩემო, დმერთო ჩემო). მანვე გამომაცილა 27 სექტემბერს გულრიფშის სანაპიროსთან ჩამომდგარ სამხედრო გემამდე, მაღე დაბრუნდებითო, თვალცრემლიანმა ძლივს ამოთქვა და უკან მოუხედავად გაუდგა გზას აღმოდებულ სოხუმისაკენ.

ომის შემდეგ შინ, მარტომარტო დარჩენილმა დიდგვაროვან ოჯახში გაზრდილმა აფხაზმა ქალმა ვერაფრით გააცნობიერა ომით მონაპოვარი "თავისუფლება", რომელიც აფხაზ დედას შვილებთან და შვილისშვილებთან, ერთ მიწაზე ცხოვრებას უკრძალავდა. დიდხანს ვერ ტოვებდა კერას, მაგრამ უსასრულოდ გაიწვლა დრო, გატანურდა ქართველთა დაბრუნება.

შვილებსა და შვილისშვილებს უზომოდ დანატრებულმა, ერთ დღეს კარები გაიხურა და რუსეთისკენ მიმავალ გზას დაადგა. ვერც იქ იპოვა სიმშვიდე. აფხაზეთში – შვილებთან განშორების ტკივილი უდრდინდა გულს, მოსკოვის ერთ პატარა ოთახში გამოკეტულს კი მშობლიური ეხო-კარი უხმობდა. გაზაფხულზე სვედა უცნაურად მოეძალა. შინ გამიშვითო – სთხოვა შვილებს. არ გაუშვეს!

მისი არყოფნის პერიოდში, სოხუმში მისი სახლი ჯერ გაუძარცვათ, მერე დაუწვავთ.

მაინც დაბრუნდა! დაბრუნდა ვერფლადცქელ ნაფუძარზე ცივი მღვმარებითა და უხმო პროტესტით – განაჩენგამოტანილი აფხაზურ-ქართული ოჯახის დედა... დაბრუნდა თუნუქის სასახლით!...

...ენგურგაღმა, ჩემგან გადაგზავნილი კვლამატარი გასვენების დღეს აუთიათ "სხვის სახლში" დასვენებული მიცვალებულისათვის. დაუტრეპით მოთქმით აფხაზ დებს: რძლის გამოგზავნილი სანთლის ნათეულით მიემგზავრებოთ იმ ქვეყანას...

ჩვენი აფხაზი ნათესაუბი ომის დროს მოსკოვში გადახვეწვეწვენ. ზოგი მათგანი ამჟამადაც იქ ცხოვრობს.

მოსკოვში ყოველი ჩასვლისას ვხვდები ხოლმე მათ. დრომ ჩვენს შორის წაშალა ის, რაც უნდა წაშლილიყო. გაძლიერდა ნოსტალგიის, ნათესაური კავშირების მიმზიდველობა.

ამ განშორებამ კი არ დაასუსტა, არამედ, პირიქით, გააძლიერა ურთიერთდტოლვა.

სწორედ ეს ფაქტორები გახლავთ ის მამომრავებელი ძალა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს აფხაზეთის ხალხების ბედი.

თბილისში ჩამოსვლისას ისინი ჩემი ოჯახის სტუმრები არიან. მიყვებიან სოხუმზე. ჩამოაქვთ წიგნები ჩემი ბიბლიოთეკიდან.

ცრემლიანია ჩვენი დამშვიდობება რკინიგზის სადგურზე.

ისინი შინ ბრუნდებიან, ჩვენ კი... ვერა.

სვეტლანა კვიციანი

## რამაზ კვიციანი

ტი გოფშაფილ ჩხოლევი ყუდეს მიოდვარანა, ბუას ოჭმარე-ოწჯუას დერგის ენაჭვალანა...

\*\*\*  
დუჯი ნების გითორე, ნების გითიტკუმორე, რინტე ფერდის მიკორე, ცურუს მიკიტკუმორე...

\*\*\*  
ქვერსემ, უჩა კამბეშეფი ტყორტოს ენოჯანუნა, მაჭვალეფის გიშაგორნა ტინით ეშარაგუნა...

\*\*\*  
ოხეშ ხალას, დანდაშ იქლე, ენიშეაშეფალ ორტინონა, კონკერს დუს ურაყუნა ქინძი, მაკინდლი სონა...

\*\*\*  
დუყიფი მინდორიას ოდიარეს ცვანგუნა, დიო ოფიყინანა მუმულია ვაყუნა...

\*\*\*  
ოხეს წუკალ წუმბოშ დო სუმარქ მინულ თე ოხეშა, ჩხე დუმეშა ქიმშუსვართეს ყვალე ხუმლა, ებროთ ეფშა...

\*\*\*  
აბარწასი ეციბირა "ჩაგუნიაჩაგუნას", მარაკაშე ქაცარეფი გეშ-გეშ გითოსხააუნა...

\*\*\*  
თუმაკიროკლე კირიბი სქემას გილატურინუნს, ოტორონლეს ვირ ტორონჯი ყოროფათი დუმინუნს...

\*\*\*  
თიცალ ხელერდუფქი მორთუ ბაყილი რე ჩქინი ყვანა, ჭკიდ, დუმ ვამადვენუნა მუ მოხვარა თე წანას...

\*\*\*  
ჩე წიწილეფ წია-წიათ მოჭავს ფსუას მითოხენა, მახაჩქალეფ ორორიას ორკოლამო გითოხენა...

\*\*\*  
ყებურს გითო უჩა ლარჭა, დუმ ჭყვარტალანს წყინარო, ბაბუ სათმოს უმბაღუნანს დადიშ გასაშინარო

\*\*\*  
ლეტაშ თუდო, წყარსინდეფი ცვანტის ენიგორუნა, დალაშა მიორგაპანა ტან დო დუს იბონუნა...

\*\*\*  
ურემიას ჩქინ დანდაშო ბარჯეფს გილწკარანა, გოლა შინკა უხირუნა – დადი ორთუ პარანას...

\*\*\*  
დიდა, მუმა მავირანა, ყვანას უფის ობუნა, კუნხუნაფლე ჩქინქუეფი ოლას მიკოტყობუნა...

\*\*\*  
ტყობინჯოიას ლააფენა, ირო ვითშა თვალუნა, ართ მაჟიას მითხოზუნა კარკაცანა, სხაპუნა...

\*\*\*  
გომპულატორ კოკუეფი – ართიანაშ მახანა, ჩქინ ოთხირეს, გითოცალირს ართო გილატვაგანა...

\*\*\*  
ხოჯეფ უდუს ეთუსქუნა, რევეშე ჭოროთ მუღუნა, ეკოხონსი, ჟორიხლოდ ართინერო უკუნანს...

\*\*\*  
ბატეფი დო ფაშატეფი ოხეს წიმიდარა, ოლაფარეს ელანხარკ ბერგ, ბურჭული, ფიარა...

\*\*\*  
მოგავლე კამეჩეფს ჯოდორეფქი მათხოხეს, დიდას მიჩილათირ გინი გილაღვარანს შქა ოხეს...










ზურაბ კვარაცხელია: საქართველო თავისი გარეგანი პოლიტიკით არის მიზნობრივად დაზარალებული



რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას "გარდების რევოლუციის" შედეგად მოსული ხელისუფლება მართავს. ვარდოსნების მიერ გაკეთებულ საქმეებზე თავის მოსაზრებას გვიზიარებს სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია.

დავიწყეთ იქიდან, რომ გავარკვიოთ, ე.წ. „გარდების რევოლუცია“ სინამდვილეში რევოლუცია იყო თუ სპექტაკლი, ფარსი, რომელიც გარკვეულმა გარემოებებმა სადაც დაგვტოვეს და განახორციელეს ჩვენს ბედურულ სამშობლოში. პასუხი ცხელსახად არის ერთი: რა თქმა უნდა, რვა წლის წინანდელ მოვლენებს ობიექტურად არაფერი ჰქონდა საერთო ქვეყნის მოსახლეობის ჭეშმარიტ ინტერესებთან. რა თქმა უნდა, მოხდა უბედურება, რადგან ბოროტად იქნა გამოყენებული ელვად შევარდნაძის რეჟიმის პირობებში განაწესებული ხალხის განწყობა, ამავე ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ. სინამდვილეში რეჟიმის არსი კი არ შეიცვალა, არამედ მოხდა მისი განახლება, მოდერნიზაცია, შეფუთვა. საუბედუროდ, ქვეყანა, რომელმაც 20 წლის წინ მოახდინა დამოუკიდებლობის დეკლარირება, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და ეროვნული მოძრაობის წინამძღოლის ფიზიკური განადგურების შემდეგ გლობალისტურმა ძალებმა ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის მეშვეობით და ძალისხმევით ააცდინეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ტრადიციულ - მართლმადიდებლურ გზას.

– ბატონო ზურაბ, როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ ამჟამად?

– შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საქართველო, უფრო უპირიანი იქნება თუ ვიტყვით მისი ნაწილი, ჯერჯერობით არცაა ნამდვილი სახელმწიფო. საქართველო თავისი მართლმადიდებელი რეჟიმით დღეს არის ტიპური კოლონიური ქვეყანა. საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც აქვს მრავალმილიარდობის ვალი და თითქმის არ გააჩნია საკუთარი ეკონომიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. ეს არის ქვეყანა, რომელსაც რეფორმების ღონისძიებით, ფაქტობრივად, გაუნადგურეს განათლების სისტემა, მეცნიერება, კულტურა. ეს არის ქვეყანა, სადაც უცხო ტომებზე გასხვიებული სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები და ბუნებრივი რესურსები. ეს არის ქვეყანა, რომელმაც ე.წ. „გარდების რევოლუციის“ შემდეგ დაკარგა თავისი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს არის ქვეყანა, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ლეკმაპურის საშოვნელად უცხოეთშია გადაკარგული. ეს არის ქვეყანა, სადაც მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ხოლო დაბნელები უფრო დაბნელებიან. ეს არის ქვეყანა, სადაც თავს ვაჭარობენ დაგებული ასფალტებით, ბანკებით, სასტუმროებით, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებით, მაგრამ ესეც ხომ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენი სამშობლო მართლაც კოლონია და არა სრულფასოვანი სახელმწიფო. ეს არის ქვეყანა, რომელსაც განუსაზღვრეს დერეფნისა თუ სამხედრო პლაცდარმის ფუნქცია. ბოლოს და ბოლოს, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის ქვეყანა, რომელსაც დასავლეთი გეოპოლიტიკურ საჯარბო დაფაზე შესაწირ პაიკად იყენებს.

– თუ ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, როგორც თქვენ დახასიათეთ, ხომ არ არსებობს ჩვენს ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საშიშროება?

– ამ ვიი ხელისუფლების არსებობის პირობებში, დიდი ალბათობით, ჩვენს ქვეყანას მართლაც ემუქრება მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გაქრობა. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ ერთი ეროვნული დეგრადირებულია ზენობა და ერთი კარგავს თავის ეროვნულ-ტრადიციულ სახეს. ფსევდო ლიბერალური და ფსევდო დემოკრატიული ფასეულობების ტრადიციული პროპაგანდისა და დამკვიდრების შედეგად ნამდვილად არ არის შორს ის

დრო, როცა ჩვენ შევეუერთებოდით კაცობრიობის არსებობის ისტორიაში გადაშენებულ ერთა თუ ეთნოსთა გრძელ ნუსხას. არადა, საუბარია კაცობრიობის კულტურული და ცივილიზაციის განვითარების სათავეებთან მდგომ უძველეს კოლხ-იბერებზე. ნურავინ იტყვის იმას, რომ ამის რეალური საშიშროება არ არსებობს და ამის თაობაზე არავინ საუბრობდა და ან არ საუბრობს დღესაც. შევარდნაძის რეჟიმის დროსაც, სააკაშვილის რეჟიმის პირობებშიც ამის თაობაზე მუდმივად და საჯაროდ, პირუთენელად და პრინციპულად აფრთხილებდა და აფრთხილებს საზოგადოებას სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ლიდერი, აბაღმიძის ალექსანდრე ზაზია. რომელსაც, უნდა ვაღიაროთ, გააჩნია პოლიტიკური ხედვის, ანალიტიკური აზროვნებისა და მოვლენათა შემდგომი განვითარების წინასწარი ჭკრების განსაკუთრებული, გასაოცარი უნარი. აქვე სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ მის გონებრივ-ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად რწმუნდება სადაც მოაზროვნე საზოგადოება, და რომლის უდიდესი პოტენციალი, იმედი მაქვს, ჩვენი განადგურებული ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ სრულად იქნება გამოყენებული.

– ბატონო ზურაბ, თქვენ, როგორც ეროვნული მოძრაობის აქტიური წარმომადგენელი, მოვლოდით, რომ ასეთ საქართველოში მოვსდებოდეთ ცხოვრება?

– მე მართლაც ეროვნული მოძრაობიდან მოვივიარ და ჩემთვის დამთრგუნველია იმის გაცნობიერება, რომ დევალიზებულია, გაუფასურებულია ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა, რაც არსებული მართლმადიდებელი რეჟიმის უდიდეს დანაშაულად მიმაჩნია. ალაღად მინდა განვაცხადო, საბჭოთა კავშირიც კი ბევრად უსაფრთხო იყო, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების თვალსაზრისით, ვიდრე ამჟამინდელი ფსევდო-დამოუკიდებლობა. ნურავინ იფიქრებს, რომ სულმნათი ზვიად გამსახურდია და სულმნათი მერაბ კოსტავა ასეთ საქართველოზე ოცნებობდნენ. ეროვნული სულსკვეთების ადამიანებისთვის, ალბათ, არ უნდა იყოს ძველი წარმოსადგენი, თუ როგორ განსხვავდება ზვიადისა და მერაბის ოცნების საქართველო მიშასა და მისი ხროვის საქართველოსგან.

– როგორია თქვენი მოსაზრება ევრაზიული კავშირის შესახებ?

– საერთაშორისო სტრუქტურებში მიღებული ევრანაირი რეზოლუცია და დიმილის მომგერელი გზავნილი ჩვენ ვერ გავიშვალის. შევლა მხოლოდ და მხოლოდ გონივრული, პრაგმატული, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისა და განვითარების პერსპექტივებზე გათვლილი პოლიტიკის გატარებაშია. ამას კი აუცილებლად სჭირდება თვისობრივად ახალი და გამორჩეული პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება. ამას აუცილებლად სჭირდება ქართულ პოლიტიკაში ევრაზიული კავშირის იდეის აქტუალიზება და პრაქტიკული რეალიზება. არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ უაღრესად საყურადღებო სტატიას, რომლის ავტორია ბატონი ირაკლი უბილავა. ევრაზიული კავშირის იდეა, რომელიც წამოაყენა რუსეთის მომავალმა პრეზიდენტმა, სინამდვილეში არც ისე ახალია. საზოგადოების მეტ-ნალებად გათვითცნობიერებულმა წარმომადგენლებმა უწყინ, რომ მომავალი ევრაზიულ გაერთიანებაშია. ამ იდეას, წლებია, ქადაგებს ბატონი ალექსანდრე ზაზია და, როგორც ჩანს, ახლა დგება მისი ხორცშესხმის ეპოქა. ვიზიარებ ბატონ ირაკლი უბილავას საგაზეთო სტატიის პათოსს და გულწრფელად მჯერა, რომ ჩვენი ხსნა მომავალ ევრაზიულ გაერთიანებაშია. დრო არ ითმენს არ დაუპასუხოს მსგავსების უფლება არ გვაქვს. ახლა ნამდვილად დანაშაულის ტოლფასი იქნება, თუ ჩვენივე მიზეზით ევრაზიული გაერთიანების პროცესისაგან გარიყული აღმოვჩნდებით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიდი გეოპოლიტიკური თამაშებისა და გადაანაწილებების ეპოქაა და ვინმელო ჩისში არ აღმოვჩნდეთ.

აქვე მინდა, საგანგებო თხოვნით მივმართო თქვენს გაზეთს. იქნებ თქვენი თაოსნობით ჩატარდეს კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის ბედზე გულწრფელად დაფიქრებული ადამიანები, რომლებიც იმსჯელებენ ევრაზიული კავშირის იდეის გარშემო. დაე, გამოითქვას ალტერნატიული მოსაზრებები, ოღონდ ვისხნა საშობლო უცილობელი დაღუპვისაგან.

ესაუბრა ლალო ძირია, ზუგდიდი

ნანა ფიფია გახსენება

ერთი წელიწადი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღიდან, როცა ლტოლვილთა სამინისტროში, უღირსი ჩინოვნიკის კაბინეტში, სიმართლისთვის მებრძოლმა სიკეთით სავსე ადამიანმა ვეღარ აიტანე დამცირება და თავი დაიწვი... ასეთი პროტესტი იმიტომ გამოხატე, რომ უგუნური გონის მოკვებულები არ დაემცირებინათ და არ დაემონებინათ მრავალტანჯული საბრძოლო ხალხი, რომელნიც მშობლიური კერა-ფუძე-ბორჯიდან აყარეს და უპატრონოდ მიაგდეს.

დამსახურებულმა პედაგოგმა ცოდვილად ჩინოვნიკს, რომელიც არც დაფიქრებულა ისე მოგახალა: – ბაღასი ჭამო! – ბაღასიო?! – გაცეცხლდი, ბაგე გაგვიყინა, მთელი სხეული დაგეძაბრა, თვალები ცრემლად აგენტო... ვერ აიტანე... შენ სხვანაირი გული გქონდა, ძალიან ლამაზი და ფაქიზი... შენ ყველა გიყვარდა, ყველას ჭირს და ღხინს იზიარებდი და იმდენ სიკეთეს აფრქვევდი გარშემო, რომ ძალიან გვიხაროდა, თან გვიკვირდა კიდევ, ბევრს კი კეთილი შურითაც შურდა, რომ განსაკუთრებული, ზემადღებულის ადამიანი იყავი... ნუთი მართლა ფიქრობდი, რომ შენი თავგანწირვით გულს გაუღხობდი ამ არაკაცებს? მარადიულ სასუფეველში ნათელი გადგია, უდრეკი სულისა და ლამაზი გულის ადამიანი.

მეგობრები



ვაგლახ, რომ არ ესმით უგუნურთ არაფერი, გოდება და სევდა კეთილი, მართალი ხალხისა... მაინც, რა მოხდა იმ დღეს, რამ ავაფორიაქა, ჩვენო სევდიანო დო, ისეთი რა მწარე შეურაცხყოფა მოგაყენეს, არაკაცებმა, რომ ასე გაწირე შენი თავი? შენ სამართალს ეძებდი და ითხოვდი იმ მინიმუმს, რაც გეკუთნოდა... პატარა ჭერს, რათა შენს ღისშვილს, მოხუც დედას, დას და მეუღლეს გეცხოვრათ, უფრო სწორედ, გავრსებათ... მხოლოდ და მხოლოდ ერთ პატარა თავშესაფარს ითხოვდი... გაძლევდნენ, განა არ გაძლევდნენ, მაგრამ სად? დედაქალაქიდან ძალიან შორს, უდაბურ, ხრიოკ ადგილას, სადაც არაფერი ხარობს... – იქ როგორ ვცხოვროვ, რა ვჭამო?! – ჰკითხე განათლებულმა ადამიანმა,

ლექსები — პოეზიის კუთხე

არა გაქვთ სხვა გზა

ბატონ ბიძინა ივანიშვილს ერთ რამეს გეტყვით, ბატონო ბიძინა: სემისნაირნი არ გვინდა ძიები. მათ ხელში ქართველებს საკმაოდ გვეძინა, ახლა კი დროა – დრო გამოვლიების! და, აჰა, უფალმა ამგვარად ინება: სხვა გორის არ გვყავდეს მორღულ და ძიებდა, თქვენ წმიდა სამებით უფალმა გირჩიათ მძინარე ქართველთა გამოსადგიებლად. ზედაპირზე ხომ, იცით, რაც ყრია, მარგალიტები? – ზღვის ფსკერზე წვანან, თუმც მათი პოვნა ძნელია ფრიად, ნიჭარები ხომ ერთმანეთს ჰგვანან? გულს ნუ გაიტეხთ, მრავალს თუ არა, ასიდან ერთში მარგალიტს ჰპოვებთ. თქვენ კარგად არჩევთ ერთმანეთისგან კარის პოეტს და ჭეშმარიტ პოეტს. გვერდში დაუდგეთ, უპოვარს ეძმით, ტკივილიანი იკითხით არზა ძნელია, თუმცა ეს უნდა შეძლოთ, ეს უნდა შეძლოთ! – არა გაქვთ სხვა გზა! ზურაბ ქობალია

ათაქ მოყო მა მოხვარა

მოკო ჩქიმი გაჭირება ასე ირფულ ქოფოტქუენი ბედი სი რე გონდურუქ დო პასუხ მოკო მორთხუენი მუდლაშარე მომყუენინი მოკო პიჯის გიწუენი, თიშენ რთხულენქ ორაგადეთ დუდი ქაწომძირუენი. მა ირო ხე ქომინწყუეე შხვაშა ვეგნოპირუენი, ჩქიმ ნათხუა შემისრულე გური ვეგნომყუნუენი. ქორთხინქ ვადმანჩუედო განთხის ქიგმორინუენი, სირჩინუე ჩამრცხინუე ბოშალა დომირთინუენი. თაშ ვექშურცდა თი დროს ქორთხინქ თოლსინთე მემდინუენი, ოსურეფიშ ქვათალ ჩხეშა თოლშა ვაწომძირუენი. ათაქ მოკო მა მოხვარა იმენდ ვემემდინუენი,

ჩხეშა ქანაშ ოსხუნური გვალო ვეკომძირუენი. ვორწყექ ქომოლკოჩის გური შირო ვანორჩინუენი, მადაშა აძინუ ვარა დდასუთ ვანოშირუენი. მარა ვორწყექ გვალო ღურელც მუთუნ ვანოხვარუენი, ინა ვართ გიშეკურცხინე მედგა ვაუღვარუენი. უნა ბედი სი ხომ ქარწყექ გური ვანორჩინუენი, თიშენ რთხულენქ ჩქიმი გური თინათ გინომრთინუენი. მა გაჭირებაშე რსხება მუფქიმინა ვართხუენი, ეშ ოსური მუშოთ მოკო ნორჩალც ქინთომღვატუენი. შურ დო გურით გირაგადუქ გოკონ გვალო დომჭყუენი, ცოდა იპიქ ჩქიმ ნათხუა ყუჯშა ვეგლეფანუენი. ივანე შონია

რა საფრთხეა უსასაზღვრო ავტორიტეტის და მოქმედ სალიბერალიზაციის?



წინამდებარე ინტერვიუ პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიაშვილს 2005 წელს ჩაწერა. მაშინ პორიზონტზე არც 2008 წლის აგვისტოს მოვლენები ჩანდა და არც მსოფლიო ფინანსური კრიზისი; მაშინ ხელისუფლება ომახიანად გვირგვინდებოდა ახალი წლის "მაღელვარებასთან და ახრადაც არ მოსდიოდა, რომ თავადვე გახდებოდა მოვლენათა ტრაგიკული ჯაჭვის ინიციატორი, რასაც საქართველოს ტერიტორიების დამატებით დაკარგვა და აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება მოჰყვება... თუმცა ჩვენი რესპონდენტი ამ საფრთხეებზე, მოსალოდნელ კატასტროფებზე ღიად და მკაფიოდ მიახლოებდა როგორც ხელისუფლებას, ასევე საზოგადოებას. ექვსი წლის წინანდელ ამ ინტერვიუს მკითხველს უცვლელად ვთავაზობთ.

ბატონო ალექსანდრე, სამწუხარო ფაქტია, მაგრამ დამოუკიდებლად არსებობის მთელი დროის მანძილზე საქართველომ ვერ მოახერხა საზოგადოებრივი-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზება და ვერ შეუდგა თანმიმდევრულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ასე არასახარბიელოდ რატომ გამოვიჩინეთ ყველა სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნისგან?

დიახ, შევარდნაძის მმართველობის დასაწყისიდან დღემდე საქართველო წარმოადგენს დაშლილ, არშემდგარ სახელმწიფოს. ეს განსაზღვრება მეტად სწორია და ყოფილ ხელისუფლებას, სწორედ დღევანდელსაც, მაგრამ ეს ფაქტია. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე ჩვენ დაშლილი სახელმწიფო ვართ და ეს უდავოა... განა შეიძლება, შემდგომად მიიწიონ სახელმწიფო, სადაც ხელისუფლების ცვლა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალების გზით ხორციელდება და, თანაც, უცხოეთიდან ფინანსდება?

თუმცა ყველაზე მთავარი ის არის, რომ საქართველოს პოლიტიკური წრეები დღემდე ვერ აცნობიერებენ ტრაგიკულ იმ მდგომარეობას, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა. ტყუილად კი არ ვაცხადებ სისტემატურად, რომ არც პრეზიდენტი და არც მთავრობა არ წარმოადგენენ საქართველოს პრეზიდენტს და მთავრობას. ისინი არიან საქართველოს მხოლოდ ნაწილის პრეზიდენტი და მთავრობა, რადგან აფხაზეთის გარეშე ქვეყანას არ აქვს უფლება, საქართველოდ იწოდებოდეს, ხოლო მის ხელმძღვანელობას - საქართველოს ხელმძღვანელობა ერქვას. გამსახურდია იყო საქართველოს პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი პრეზიდენტი.

ამიტომ დაუდგით მას ძეგლი ზუგდიდში?

დიახ, და მზადა ვარ, ძეგლი დავედგა ქვეყნის იმ ლიდერს, რომელიც დაუბრუნებს მას უფლებას, ერქვას საქართველო. სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომელთათვის აფხაზეთი ცოცხალი ტკივილი არ არის. ასაკის გამო მათ ვერ მოაწერეს აფხაზეთის, როგორც საკუთარი სამშობლოს განუყოფელი ნაწილის, აღქმა და გაცნობიერება, ამიტომ დაპარაკობენ "ტერიტორიების დაბრუნებაზე", არადა, სამშობლოს დაბრუნებაზე უნდა იყოს ლაპარაკი.

რეალურიდან მოწყვეტა, წარსულის არცოდნა, გამოუცდელია და ზედაპირული განათლება - აი დღევანდელი ხელმძღვანელობის მთავარი ნაკლოვანებანი. ახალგაზრდულ ენთუზიაზმზე, შესაძლებელია,

საგრძობლად გამოაცოცხლო საზოგადოებრივი, თუნდაც ეკონომიკური აქტივობა, წარმატებით გადაწყვიტო რიგი ტაქტიკური ამოცანებისა, მაგრამ ეს მოკლევადიან ეფექტს იძლევა. ქვეყნის რეალური განვითარება მხოლოდ სტრატეგიის საფუძველზე ხდება, ხოლო სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციისთვის საჭიროა სიღრმისეული ცოდნა, თანაბრა გამოცდილების გათვალისწინება, ქვეყნისა და ერის ადგილის, როლის, ისტორიული დანიშნულების გაცნობიერება. ახლახან უსმენდი ტელევიზიით სოფლის მეურნეობის მინისტრის ანგარიშს ქვეყნის არსებობისათვის ამ უმნიშვნელოვანეს, სასიცოცხლო დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ და უნებლეთ შემეძენა შთაბეჭდილება, რომ ეს ადამიანები რომელიმე სხვა ქვეყანაზე, სხვა ეკონომიკაზე, სხვა სოფლის მეურნეობაზე ლაპარაკობდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ყველა სხვა ხელმძღვანელზე, რომლებიც ტელევიზორის ეკრანებიდან თავისი დარგის „არნახულ წარმატებებზე“ მოგვითხრობენ. ასე ცრუობდა მრავალი წლის განმავლობაში შევარდნაძე, სამწუხაროდ, ეს პოლიტიკურ ტრადიციად იქცა.

ყოველთვის ვცდილობ, აღვნიშნო დადებითი მომენტები ხელისუფლების საქმიანობაში. მუდამ მადლიანობა ვცვლია ჯერის ოპოზიციონერის სწრაფად, ერთიანად, ხელაღებით გაეშავებინათ ყველა და ყველაფერი, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ნაბიჯში მხოლოდ ცუდი და მანეჟი დაეხატათ. შევარდნაძის მმართველობის დროსაც კი ვცდილობდი, გარკვეულ პროცესებში პოზიტივი დამენახა, რადგან ხშირად ოპოზიციის სწრაფვას, კატეგორიულად უარყო ხელისუფლების საქმიანობა, იქამდე მიყვარათ, რომ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლად იქცევა. შევარდნაძის პერიოდთან შედარებით, დღეს მართლაც არის პოზიტიური მომენტები ხელისუფლების საქმიანობაში, რასაც მივესალმები. საკმარისია, თბილისის, ბათუმის შეცვლილ იერს შეხედო, გზების მშენებლობას, კორუფციასთან ბრძოლას ქვედა და საშუალო დონეზე და სხვა. მაგრამ ყველა ეს მოვლენა კოსმეტიკური ხასიათისაა და გავლენას ვერ ახდენს ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაზე, ვერ ცვლის შევარდნაძის დროს დაკვიდრებულ ქვეყნის განვითარების დამლუპველ კექსორს. დღემდე არ არსებობს ეკონომიკური განვითარების ერთიანი მოდელი, რაც ქვეყანას ეკონომიკური ჩიხიდან გამოიყვანდა. და მთავარი - ხელისუფლების ქმედება არანაირად არ გვაახლოებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტასთან. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარებისა და თანამედროვე ეკონომიკური ბაზის ფორმირების გარეშე კი საქართველოს მომავალი არ აქვს.

ცნობილია, რომ მეორე ევროპულ ფორუმზე მოსკოვში თქვენ - მონაწილეთაგან ერთადერთი - ე. წ. კონფლიქტების მოგვარების კოსოვოს სქემის წინააღმდეგ გამოხვედით. რატომ?

კოსოვოს სქემა სერბეთის ისტორიულ ტერიტორიაზე მოსული მუსლიმების დამოუკიდებელი ალბანური სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს. კოსოვო სერბული მართლმადიდებლური კულტურის აკანია, სერბი ერის გულია. იქ ეთნიკურად და რელიგიურად უცხო ხალხი დასახლდა, რომელსაც იქვე, გვერდით, საკუთარი სახელმწიფო აქვს, ამერიკელების დახმარებით სერბი მოსახლეობა განდევნა, 200-ზე მეტი მართლმადიდებლური ტაძარი დაანგრია და ახლა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას მოითხოვს. არ შემიძლია ამ მოთხოვნას დაუჭიროო მხარი, პირველყოფილსა იმიტომ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, იმიტომ, რომ სერბი და ქართველი ხალხები სულიერი ძმები არიან.

ჩვენ ისედაც სამარცხვინო, მოუშორებელი ლაქა გვადევს: შევარდნაძე იყო პირველი სახელმწიფოთა მეთაურებს შორის, რომელმაც ოფიციალურად დაუჭირა მხარი ნატო-ს ავაციის მიერ სერბეთის დაბომბვას, რასაც ასობით უდანაშაულო ადამიანი, ათობით ეკლესია და მონასტერი შეეწირა. ხოლო ქართულმა მართლმად-

იდებლურმა ეკლესიამ არ დაგმო ამის გამო ელზარდ-გიორგი, ანათემას არ გადასცა იგი.

მეორეს მხრივ, „კოსოვოს სქემის“ უნივერსალურობის აღიარება ავტომატურად ნიშნავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფის უფლების აღიარებას. მეტიც: ეს ანალოგიურ პერსპექტივებს შეუქმნის საქართველოს სხვა რეგიონებსაც, რომლებიც, ძირითადად, მოსული უცხო-ტომელებით არის დასახლებული. „კოსოვოს სქემა“ სახიფათოა ევროპის ბევრი ქვეყნისთვისაც და მის შესახებ ევროპულ მოდერნიზაციას არაერთი მწვავე შეფასება მომსმენია. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ „კოსოვოს სქემის“ უკან ამერიკის შეერთებული შტატები დგას. მას კონკრეტული მიზანი აქვს - მაქსიმალურად დაასუსტოს გაძლიერების გზაზე დამდგარი ევროპა, ამიტომ ქმნიან ევროპის ცენტრში მძლავრ მუსლიმურ ანკლავს დიდი ალბანეთის სახით. ამასთანავე, ანტიმართლმადიდებლური ტენდენციების დაკმაყოფილებაც ხერხდება, რაც მეტად ძლიერია როგორც კათოლიკურ, ისე პროტესტანტულ ქვეყნებში. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ევროკავშირის დასუსტებაა. სწორედ ამიტომ გაიტანეს თავისი ამერიკელებმა და ევროკავშირში აღმოსავლეთევროპული პოსტსოციალისტური სახელმწიფოები მიაღებინეს. უფრო მეტიც, - იუგოსლავიის დაშლა აიძულეს ევროკავშირს, თავის შემადგენლობაში ყველა ახალი ბალკანური სახელმწიფო მიეღოს. ეს უდავოდ სერიოზულ გავლენას იქონიებს გაერთიანებული ევროპის ეკონომიკაზე, ევროს, როგორც დოლარის კონკურენტის კურსზე, დაძაბულობას შეიტანს წამყვანი ევროპული ქვეყნების საშინაო ცხოვრებაში.

მათ მილიონობით აღმოსავლეთევროპულ მიგრანტთან საკუთარი შრომის ბაზრის გაყოფა მოუწევთ. ამიტომ ევროკავშირის ძირითადი წევრები ყველა ახალი პრეტენდენტისთვის კარის დახატვად მზადყოფნას გამოხატავენ. მაგალითად, თურქეთის ევროკავშირში მიღების საკითხი, პრაქტიკულად, 10-15 წლით გადაიდო და, ალბათ, არასდროს მოხდება, სხვათა შორის, ანალოგიური ვითარება ნატო-შიც. ევროპელებს მკაფიოდ ესმით, რომ ნატო ამერიკის მსოფლიო ჰეგემონობის ინსტრუმენტია. ნატო-ს გაფართოება, არსებითად, ამერიკის შეერთებული შტატების კავშირის გაფართოებას ნიშნავს, ევროპა კი იძულებულია, ამის საფასური იხადოს, ამიტომ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს ნატო-ს გაფართოების პერსპექტივისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ. მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი, პოლანდია კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საქართველოს ჩართვას „ინტენსიური დიალოგის“ პროგრამაშიც კი, ანუ ნატო-სთან ურთიერთობაში საქართველოს ახალ საფეხურზე გადასვლას.

მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობა მალე ნატო-ში შესვლას გვირგვინდება...

ამ დაპირებას, მრავალი წელია, ვისმენთ. ევროკავშირსაც ვგვირგვინდებოდნენ, თუმცა ბოლო დროს აღარ ახსენებენ: მეტისმეტად სასაცილოდ ედერს. რაც შეეხება ნატო-ს, ქართველებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, გაცნობიერონ რეალური სურათი. ევროპა არ იწვივს ნატო-ს გაფართოებისა და ამით, ფაქტობრივად, ამერიკელთა ინტერესების მომხაზრებელს სურვილს. გარდა ამისა, ევროპა არ არის დაინტერესებული რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებით. ამერიკის შეერთებული შტატებს, რა თქმა უნდა, შეუძლია აიძულოს ევროპა, ეს ნაბიჯი გადადგას. საქართველოს ნატო-ში შესვლას ყოველმხრივ შეუწყობს ხელს თურქეთი, რადგან ეს თურქეთის შეიარაღებულ ძალებისთვის გახსნის საქართველოს ტერიტორიას, რაც შექმნის ჩრდილოეთ კავკასიაზე პირდაპირი გეოპოლიტიკური გავლენის პერსპექტივას. მაგრამ ნატო-ს ევროპული წევრები, კიდევ რომ დაეთანხმონ ამერიკისა და თურქეთის მოთხოვნას, ყოველ მიზეზგარეშე წამოაყენებენ უმთავრეს მოთხოვნას - ნატო-ს წევრებს მკაცრ დაცვას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნატო-ს წევრ ქვეყანას ტერიტორიული პრობლემები არ უნდა ჰქონდეს.

აშშ, ისევე, როგორც მთელი მსოფლიო თანამეგობრობა, დაქინებით მოითხოვს ჩვენი კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, მაგრამ მშვიდობიანი მოგვარება შეუძლებელია ამ პროცესში რუსეთის დაინტერესებული მონაწილეობის გარეშე. რუსეთი კი ამაში მონაწილეობას არ მიიღებს, ვინაიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩვენთვის დაბრუნება ამ ტერიტორიის ნატო-ს კონტროლის ქვეშ გადაცემას ნიშნავს, რადგან საქართველოს ხელმძღვანელობა არ იღებს საკუთარ თავზე ვალდებულებას, არ განათავსოს თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები. ნატო-ს კატეგორიული წინააღმდეგობა, აგრეთვე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაც.

რა და რისთვის უნდათ ამერიკელებს საქართველოში? ამერიკას სჭირდება ნატო-ს ვეგდით საქართველოში თურქული სამხედრო ბაზის განლაგების შესაძლებლობა იმ მიზნით, რომ გააძლიეროს დაძაბულობა რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე; მეორეც - მოვლიანად აკონტროლოს ნავთობი და გაზსადენები; მესამე - ირანთან სამხედრო მოქმედების გაშლის შემთხვევაში, გამოიყენოს ქართული სამხედრო აეროდრომები, რომელთაც, უკვე კარგა ხანია, თურქები აკონტროლებენ. ამ ამოცანების გადასატრეფად არც აფხაზეთი, არც სამხრეთ ოსეთი საჭირო არ არის.

ამიტომ ძალიან მაწუხებს, თუ როგორ აპირებს საქართველოს ხელმძღვანელობა ნატო-ში შესვლის საკითხის მოგვარებას, უფრო სწორად, რა პირობებს უკარნახებს მას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. ძალიან მაგიჟებს, რომ სოხუმში ყოფნისას აშშ-ის ელჩმა ტეფტმა მოიწონა და პროგრესული უწოდა კონფლიქტის მოგვარების აფხაზეთ გეგმას, რომელიც შემდეგ თბილისში სერგეი შამბამ ჩამოიტანა. გეგმის პირველივე პუნქტი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ითვალისწინებს. მაშ, ვისთვის არის ეს გეგმა პროგრესული? არ გამოიკვირდება, თუ სააკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტის შემდეგ ვოგო-ბიჭები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ე. წ. დემოკრატიული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დაიწყებენ „რუსთავი-2“-ის ეთერში გამოსვლებს ნატო-ში ნებისმიერ, თუნდაც სადავო ტერიტორიებზე დროებით უარის თქმის, ფასად შესვლის შესახებ, რომელთაც შემდეგ ნატო აუცილებლად დაგვიბრუნებს. წლის ბოლოსთვის კოსოვოს პრობლემაც ამერიკული სცენარით გადაწყდება. ასე რომ, „მსოფლიო თანამეგობრობა“ ტერიტორიული დავის „ცივილიზებული გადაწყვეტის“ რეალურ პრეცედენტზე ლაპარაკს შეძლებს. ქართველი დემოკრატები კი, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო ცივილიზებულინი არიან...

ძალზე სახიფათოა, რომ რუსულ პოლიტიკურ წრეებშიც მატულობს კოსოვოს სცენარის მხარდაჭერა კონფლიქტების მოგვარებაში. არსებობენ ძალიან გავლენიანი ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველო უნდა გაიყოს, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კი მათი გავლენის ქვეშ დარჩეს. მეც და ჩემი ბევრი მეგობარი ვცდილობთ, დავარწმუნოთ რუსი პოლიტიკოსები, რომ აფხაზეთის მოწყვეტა დანარჩენი საქართველოსგან ვერ გადაწყვეტს რუსეთის სამხრეთის სტრატეგიული უსაფრთხოების პრობლემას. თურქეთის ხელისუფლების გახშირებული კონტაქტები აფხაზეთთან, პირდაპირი მიმოსვლის აქტივიზაციის სურვილი მეტყველებს თურქეთის განსაკუთრებულ ინტერესზე ამ რეგიონის მიმართ. უეჭველია ისიც, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთი სერიოზულ სტიმულად იქცევა ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანების პროცესისთვის ამ რეგიონის შემდგომი სეპარატიზაციის მიმართულებით, რაც, დიდი ხანია, თურქეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის სტრატეგიულ გეგმებში შედის. მაგრამ ყველა ეს არგუმენტი - ნატო-სკენ სწრაფვასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მანი-აკალური განცხადებების ფონზე - ყოველგვარ ძალას და დამახვირებლობას კარგავს. თუ რუსეთი და შეერთებული შტატები საქართველოს გაყოფაზე მოილაპარაკებენ, ეს დიდი უბედურება იქნება.

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)



# შხაფისა და ჭაქვიჯის ციხე-სიმაგრეები

იციან კი შენი მშობლიური კუთხის სიძველეებს?

## შხაფის ციხე-სიმაგრე

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის ქალაქთა და ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები (ნაშთები). მათ შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შხაფის ციხე-სიმაგრეს. ეს ვეება საინტერესო კომპლექსი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არასრულყოფილადაა შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ ციხე-სიმაგრე მატრიანების ფურცლებზე მხოლოდ გვიანდელ საუკუნეებში იხსენიება, ის ყველა მონაცემით ადრეულ შუა საუკუნეებშია აღმოცენებული.



იმ ეპოქაში, როცა ეგრისის სამეფო (დასავლეთ საქართველო) თავს იცავდა ბიზანტიისა და სპარსეთის ექსპანსიისაგან, ეგრისელები თითოეულ ქალაქს და მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს ამაგრებდნენ ციხე-სიმაგრეებით, მაგრამ ყველა ეს პუნქტი მეტ-ნაკლებად ღია ადგილებზე იყო განლაგებული და მათი აღების (დაპყრობის) შემთხვევაში, მოსახლეობა მთებში იხიხნებოდა და ძნელად მისაღწომ ადგილებს აფარებდა თავს. სწორედ ამ შემთხვევაში იყო საჭირო ამ მთების მისაღწომების დაცვა. როგორც ჩანს, იმ პერიოდის მმართველებმა შექმნეს თავდაცვის ხაზი. ეს ხაზი მთების ძირში, მთიანი და დაბლობი კოლხიდის ზღვარზე გადიოდა. ამჟამინდელი ნარჩენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ხაზი მდინარე ტეხურის ნაპირებთან, ეგრისის სამეფოს დედაქალაქ ნოქალაქქეთთან იწყებოდა და გრძელდებოდა შორს, მდინარე ენგურის იქით, ზღვის ნაპირებამდე.

შხაფის ციხე-სიმაგრე მთის დაბლობებსა და წარმოადგენს; ის მრავალშრიანი. მის კედლებში, შესაძლებელია, როგორც IV-VI საუკუნეების პირველი, ასევე შემდგომი ეპოქის შრეების დანახვა. პირველი სამშენებლო შრიდან მხოლოდ მიწისქვეშა საძირკველია შემორჩენილი. როგორც ნანგრევებიდან ჩანს, პირველქმნილი ციხე-სიმაგრის დანგრევის შემდეგ მაშინვე აუცილებელი იყო მასშტაბების ახალი ციხე-სიმაგრე. ამ ციხე-სიმაგრედან შემორჩენილია მალაღობი, შესანიშნავი პროპორციების კოშკი ოვალური გალავნით. ხანძრის ნაკვალავი მოჩანს ყველგან, როგორც კოშკის შიგნით, ასევე ეზოშიც.

შუა საუკუნეების განმავლობაში არაერთჯერ იცვალა თავისი დაგეგმარება. XVI-XVIII საუკუნეებში ძალზე იზრდება ციხე-სიმაგრის ტერიტორია, როგორც აღმოსავლეთით, ასევე დასავლეთითაც.

ციხე-სიმაგრის აღმოსავლეთ ნაწილს მიაშენეს ორსართულიანი ცილინდრული კოშკი, ხოლო დასავლეთ მხარეს, შესასვლელთან – მაღალი პირამიდული კოშკი აღმართეს, რაზეც კოშკის კედელზე გაკეთებული ვრცელი წარწერა გვამცნობს.

მატიანეებში ციხე-სიმაგრეზე ცოტა ცნობებია მოცემული. მხოლოდ რამდენიმე ცნობა გვხვდება შედარებით გვიანი საუკუნეებიდან, როდესაც ციხე-სიმაგრეს ადგილობრივი მმართველი თავადები – დადიანები ფლობდნენ. ფეოდალური შინაომების დროს ეს ციხე-სიმაგრე ამ მხარის მფლობელთა ერთ-ერთ საყრდენ პუნქტს წარმოადგენდა. ციხე-სიმაგრის შიგნით სხვადასხვა ნაგებობებია განლაგებული, როგორც თავდაცვითი, ასევე დამხმარე ხასიათისა. ამ უკანასკნელიდან აღსანიშნავია წყლის შესანახი რეზერვუარი.

შხაფის ციხე-სიმაგრეს ხშირად საპატიო პატიმართა საპრობილედ იყენებდნენ. აქ 1590 წელს ტყვეობაში გარდაიცვალა იმერეთის მეფე ლევანი. შხაფის ციხე-სიმაგრე XIX საუკუნის დასაწყისშიც მოქმედებდა. 1979 წელს აქ ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები.

## ჭაქვიჯის ციხე-სიმაგრე

საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეებიდან სამეგრელოს ტერიტორიაზე მდებარე ჭაქვიჯა – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმაგრეა. მის აღმართვაზე და შემდგომ

„ბედობაზე“ არაფერია ცნობილი. ციხე-სიმაგრე მდებარეობს სოფელ ჭაქვიჯის მახლობლად, მდინარე ჭანისწყლის ხეობაში, ზუგდიდიდან 15 კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთით (ზღვის დონიდან 130 მეტრ სიმაღლეზე).

ამ ვეება ციხე-სიმაგრის კედლებში, ძირითადად, შეიძლება სამი სამშენებლო შრის დანახვა. პირველი შრე მიეკუთვნება ადრეულ შუა საუკუნეებს, მეორე – განვითარებული ფეოდალიზმის, მესამე კი – გვიანი ფეოდალიზმის პერიოდს. თავიდან ის მხარის ერთ-ერთი საყრდენი პუნქტი იყო, ხოლო თავისი არსებობის ბოლოს, სამეგრელოს მმართველ – დადიანთა რეზიდენციას წარმოადგენდა.

ამ ადგილზე ციხე-სიმაგრის „დაბადების“ მიზეზი, ალბათ, ორი გზის გზაჯვარედინებიდან მომდინარეობს. პირველ გზად უნდა ჩაითვალოს ის, რომელიც ქვეყნის შუაგულიდან ეგრისის სამეფოსაკენ მიემართებოდა, ხოლო მეორე გზა, იმავე დროს, ზღვიდან, მდინარე ჭანისწყლის ნაპირების გაყოფებით – სვანეთისაკენ.

ციხე-სიმაგრეს ერთობ დიდი ტერიტორია ეკავა და ციტადელისა და ქვედა ციხისგან შედგებოდა.

ციხე-სიმაგრის ციტადელი მთის თავზეა აღმართული და წარმოადგენდა ოვალური ფორმის გეგმისა. გალავანში ოთხი კოშკია ჩართული. ისინი სხვადასხვა დროინდელია და რამდენიმეჯერაა რესტავირებული. ციტადელს ერთადერთი შესასვლელი აქვს, რომელიც ჩრდილოეთის კედლის ცენტრალურ ნაწილშია გამოკვეთილი. ციტადელი ქვედა ციხეს ჩრდილოეთ ფერდობზე გაყვანილი გვირაბით უკავშირდება, რომლის ბოლოშიც დგას კოშკი. გვირაბი ფაქტობრივად საიდუმლო გასასვლელს წარმოადგენს, რომელიც, ალბათ, მტრის გარემოცვის დროს სარგებლობდნენ.

ციხე-სიმაგრის ქვედა ეზოს საკმაოდ დიდი სივრცე ეკავა. აქა-იქ მისი გალავნის ნაკვალავია, ხოლო ჩრდილოეთით, განაპირა მხარეს მდებარე დიდი კოშკის პირველი სართულის კედლებია შემორჩენილი. როგორც ჩანს, ეს კოშკი მთელი ციხე-სიმაგრის სათვალთვალო პუნქტს წარმოადგენდა. ქვედა გალავანში ჩართული იყო წყაროც, რომელიც მთის დასავლეთ ფერდობზე მიედინებოდა.

ციტადელის გალავანი ყველგან ერთი სისქის და ერთი სიმაღლის არაა. გალავნის და კოშკების რიგებში ნათელი კვადრებია

გამოყენებული, რომლებიც წყობის ხასიათით IV-V საუკუნეებს განეკუთვნება. ზემოდან გამოყენებული წყობა წერილი კვადრებისგან შედგება და IX-XI საუკუნეებით თარიღდება, ბოლო სამშენებლო შრე რიყისა და საყორე ქვებისგან შედგება. ასეთი წყობის ანალოგის XVI-XVIII საუკუნეების ნაგებობებში ვხვდებით. ეს ფაქტი ადასტურებს ვახტანგის ცნობების იმის შესახებ, რომ ჭაქვიჯი იმ ეპოქაში სამეგრელოს მფლობელ დადიანთა ადგილსამყოფელთა შორის ერთ-ერთ რეზიდენციას წარმოადგენდა. შემოთმთქვანილი სამი სამშენებლო შრიდან მხოლოდ ბოლო მესამე შრეს გააჩნდა ცვეცხლსასრული იარაღის გამოსაყენებელი სათოფურები.

ციტადელის ეზოში ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები, მათგან გამოირჩევა კარის ეკლესიის (XIII საუკ.) და პალატების ნანგრევები.

პალატები (X საუკ.) ორსართულიანი



იყო. გეგმით ისინი წარმოადგენდნენ გრძელ სწორკუთხედს ორი პილონით, რომლებზეც კამარები იყო დაყრდნობილი, შენობა კარგად ნათელი ქვით იყო მოპირკეთებული. კარის ეკლესია პატარა ზომის იყო ციტადელის შიდა სივრცის შეზღუდულობის გამო. გარდა ამისა, დიდი ეკლესიის საჭიროებაც არ არსებობდა, რამდენადაც ის განკუთვნილი იყო გარნიზონისათვის. ეკლესია XIII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

წერილი შექმნილია ძართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში და პარმენ ზაქარაიას „სამართმელოს ძველი ძალაქმები და ციხე-სიმაგრეები“-ში გამოქვეყნებული მასალების გამოყენებით.

# ერეკლეს სამეფოს „პოტიომკინის სოფელი“

საქართველოს ოპოზიციური პარტიები „ნაციონალურ მოძრაობას“ და პრეზიდენტს საკუთარი პიარკამპანიისთვის სახელმწიფო რესურსებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის უკანონოდ გამოყენებაში ადანაშაულებენ. ეს თემა, როგორც იტყვიან: „არასაბედობა, ძველი“, მაგრამ, გრძობენ რა არჩევნების წაგების რეალურ საფრთხეს, სააკაშვილი და ნაციონალები დღეს უკვე ღიად და დაუფარავად აკეთებენ ყველაფერ იმას, რის უკალირებას ადრე ნაწილობრივ მაინც ახდენდნენ. მათ უკვე საბოლოოდ დაკარგეს იმის იმედი, რომ ივანიშვილი ადრინდელივით ათეულ მილიონობით დოლარს უძღვნის მათ საჩუქრად არჩევნებში გასამარჯვებლად, იმ კახელების არ იყოს, იგრძნეს, რომ „ზაბორი დამთავრდა“ და ახლა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების და ე.წ. „შავი ფულის“ იმედს დარჩნენ...

როგორც ოპოზიციონერები აცხადებენ, „ილიას ტბის გასხსნაზე პრეზიდენტისთვის ტაშისდამკვერელები რომ მიეყვანათ, „ნაციონალური მოძრაობის“ მითითებით, თელავში მუნიციპალური ტრანსპორტი მთლიანად მოხსნეს და სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ხალხი პრეზიდენტთან შესახვედრად ილიას ტბაზე წაიყვანეს.

„16 ნოემბერს საზოგადოებამ კიდევ ერთხელ იხილა „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი თავკაცის მიხედვით სააკაშვილის მიერ უნებურად დადგმული სპექტაკლი, თუ როგორ ვითარდება და შენდება საქართველო. კერძოდ, პრეზიდენტმა ყვარლის მუნიციპალიტეტში გახსნა კომპლექსი „ილიას ტბა“, ამ დიდ და

პომპეზურ ცერემონიალს ესწრებოდა რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან საგანგებოდ მიყვანილი „კლაკიორთა“ მთელი არმია. ერთი შეხედვით, „ტაშისმკვერელების“ მიყვანით არაფერი დაშავებულა, თუ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ვის ხარჯზე მოხდა „კლაკიორთა“ ტრანსპორტირება?

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ მათთვის ჩვეული ამპარტავნობით ჩათვალა, რომ მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ტრანსპორტი და, ასევე, მასზე გამოყოფილი საწვავი მათივე საკუთრებაა და კახეთის რეგიონულ ცენტრში სრულად მოხსნა საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხაზიდან. კერძოდ, ქალაქ თელავში 16 ნომბერს საზოგადოებრივი ტრანსპორტი აბსოლუტურად იყო პარალიზებული, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ოპერატიულად, ორგანიზებულად და ზედმეტი ხარჯის გარეშე გადაეყვანათ „ნაციონალური მოძრაობის“ „მეზობლეთა“ მთელი შემადგენლობა სააკაშვილის კვადრეკვალ“, – აცხადებენ ოპოზიციონერები.

გასაკვირი არაა, რომ ნაციონალები და მათი თავკაცი მიხედვით სააკაშვილი საქართველოში პოლიტიკური ბალანსის მათთვის სრულიად მოულოდნელად მკვეთრად შეცვლილ დაბნეულები არიან და ადარც კი იციან როგორ მოაბან თავი პოლიტიკურ პარსს, რომელსაც ადრე მთელი პომპეზურობითა და „აღმაფრებით“ ატარებდნენ. სააკაშვილი ხან ფეხით დარბის რიკოთის ორკილომეტრიან გვირაბში, ხან რესტავირებულ პლესხანოვზე დააბოტებს, რომელიც გარედან მტერს

უხვებს თვალს, შიგნით კი მოყვარეს, რადგან მაცხოვრებლების ბინებში რემონტი კი წამოიწყეს, მაგრამ დასრულებას აშკარად არ აპირებენ და პოტიომკინისეზურად შედამაზებულ ფასადიან სახლებში ხალხი მტვერსა და ჭუჭყლში ცხოვრობს.

დაბნეული მიზნა და მიზისტების ყველაზე სასაცილო წინასაარჩევნო პიარი კი გახლდათ პრეზიდენტის მიერ ყვარელში არცის გამოხდის ცერემონიალი და მეზობლების სადილზე მიპატივება, სადაც, მიზანს თავზე კახური ქუდი წამოაკოსეს, რითაც აღტაცებულმა და გულამომჯდარმა „მძლეთამძღვემ“ ამაყად განუცხადა კახელ მეზობლებს: „მე თავს ყოველთვის კახელად ვგრძობდები!“

მოკლედ, დღემდე ვერ დაგვიდგენია, ეს კაცი მეგრელია, იმერელი, სვანი თუ კახელი. ერთადერთი, რაც დავადგინეთ, არის ის, რომ მიხედვით სააკაშვილი მართლაც პირწავარდნილი სომეხია და საკმაოდ დიდი „წარმატებითაც“ აკეთებს სომხურ საქმეს, იქნება ეს დავით აღმაშენებლის თბილისიდან გასახლება, ქალაქების უაზრო და არაფრისმთქმელი ძეგლებით „გალამაზება“, თუ საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გაღატანის მცდელობა, საიდანაც ნაღდად არაფერი გამოუვა, რადგან დროში აშკარად ვერ ჩაეჭება.

დრო აშკარად სააკაშვილისა და „ნაციონალების“ წინააღმდეგ მუშაობს!

P.S. ყველაზე თავშესაქცევი მთელ ამ ამბავში ისაა, რომ მადლობაც „სომხურად“ გადაუხადა სააკაშვილმა ყვარელელ მეზობლებს. როგორც რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, სემეის დადგე-

ნილებით, ნომბრიდან რევიონებში სასმელი წყლის გადასახადი გაიზარდა. ერთი ტონა სასმელი წყლის გადასახადი 50 თეთრი გახდა, ნაცვლად დღემდე არსებული 27 თეთრისა.

სხვას რას იზამენ: არჩევნებს ფული სჭირდება, ფულის შოვნის ერთადერთი გზა კი საკუთარი მოსახლეობის გატყვევება, რადგან, ქვეყანას, რომელსაც პრაქტიკულად ეკონომიკა არ გააჩნია, ბიუჯეტის შევსების ერთადერთ გზად ფისკალური პოლიტიკის ექსპანსია რჩება.

ყვარელში, გურჯაანსა და სიღნაღში აბონენტების გამრიცხველიანება ამჟამად მიმდინარეობს. ასე რომ, სააკაშვილის კახელ მეზობლებს მთელი „სიამოვნება“ ჯერ კიდევ წინ აქვთ.

საპ. ინფორმაცია



როგორ ვერ მოახერხა შეთანხმება ლენინი და როგორ მოახერხა სააკაშვილმა ქართველი ხალხი

ახერხა ახალი სახელმწიფო მუხეუმში დაცულია დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია კონკრეტული მტკიცებულებები იმის თაობაზე, თუ როგორ შეიქმნა არარატის რესპუბლიკა და დამტკიცდა მისი საზღვრები არარატის რესპუბლიკასა და თურქეთის ოსმანთა იმპერიას შორის, ბათუმში 1918 წლის 4 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად (სომხურ მხარეს წარმოადგენდნენ ა. ხატისოვი და ა. გუკასოვი), რომლის ძალითაც სომხეთის ტერიტორია განისაზღვრა 10 ათასი კვადრატული კილომეტრით. ეს გახლავთ ერთადერთი უფლებიანი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სომხეთის ტერიტორიას, ხოლო თუ შემდეგ როგორ და ვის ხარჯზე მოხდა სომხეთის ტერიტორიის ზრდა, ეს უკვე სხვა, განსაკუთრებული საუბრის თემაა.

ახლა, რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ, თუ როგორ ესახებოდათ სომხებს სამხრეთ კავკასიის რუკა 1918 წელს. სომეხ მოღვაწეთა აგრესიულ ნაწილს მაშინ საკმაოდ მეტი ამბიციის გაჩნდა. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს მთავრობის მაშინდელი მეთაურის ნოე ჟორდანიას სიტყვები: "სომხებს ეგონათ, რომ ქალაქი თბილისი მათ დარჩებოდათ. თბილისში, ადრე, პოლიტიკურად დომინირებდნენ რუსები, ეკონომიკურად კი სომხები. მათი აზრით, ნამდვილი საქართველო დასავლეთ საქართველოა. ამოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა შერეულია სხვა ეროვნებებთან და მათი აზრით, აქ არ უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ხელისუფლება. საქართველოს ეროვნული ხელისუფლება უნდა გადავიდეს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, თბილისში კი უნდა განთავსდეს ეროვნულ-მშობლიური მმართველობა." (ნოე ჟორდანიას, "ჩემი სიცოცხლე", სტენოგრაფი, 1986 წელი, გვ. 89-90).

ზუსტად ამ ამბებს უკავშირდება ის, რომ 1917 წლის დეკემბერში ვლადიმერ ლენინი სწორედ თბილისში ნიშნავს საგანგებო კომისრად კავკასიისა და თურქეთის სომხეთის საკითხებში სტეფანე შაუმიანს. მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეული პროქართული (საგარაუდოდ - სტალინის) ძალების ჩარევით შედეგად შაუმიანის განდიდებულა ჩავარდა და იგი იძულებული შეიქმნა გამგზავრებულიყო ბაქოში და იქ შეექმნა კავკასიის მართვის რეგიონალური ცენტრი. ამ პროექტის მიხედვით კი უკვე ქალაქი ბაქო იქცეოდა ახალ სომხურ ცენტრად. ამისათვის რომ მიეღწია, შაუმიანმა შეგნებულად აურ-დაურია საქმეები ქვეყნის ახერხაჯანულ მოსახლეობას, რასაც ბაქოში მცხოვრები სომხების (უკვე მერამდენე) დარბევა მოჰყვა. სწორედ ბაქოში განვითარებული სისხლიანი მოვლენების შემდეგ შაუმიანი მოხსნეს საგანგებო კომისრის პოსტიდან.

ამას ადასტურებს სტალინის წერილი, რომელიც მან ბაქოს საბჭოს ხელმძღვანელობას გაუგზავნა. ამავე დროს, აღნიშნულ წერილში ობიექტურადაა გაკრიტიკებული შაუმიანის მანევრული საქმიანობა კავკასიაში.

სწორედ სტალინმა ამცნო მაშინ საზოგადოებას, რომ "შუა აზიისა და ბაქოს საგანგებო კომისრად დაინიშნა პ.ა. კობოხევი", რომელსაც შემდეგნაირად ხსნიდა: "ეს დანიშნა განირობებული იყო იმით, რომ შაუმიანი, გარკვეული მიზეზების გამო მხოლოდ თბილისში მოქმედებდა, მაშინ, როცა ბაქო - კავკასიის ეს მნიშვნელოვანი ქალაქი თანდათან ექცეოდა მტრების ვარსკვლავში..."

მაგრამ, კობოხევი მაინც ვერ შეუღლა მოვალეობის შესრულებას, რადგან, როგორც ჩანს, შაუმიანმა ჩვეული ინტრიგებით შეუშალა ხელი მის დანიშნვას. ამ ამბებიდან 10 წლის შემდეგ შაუმიანის შვილის სურენი საკუთარ მოგონებებში "წიკობდა" - რა საჭირო იყო კობოხევის დანიშნვა ბაქოსა და შუა აზიის საგანგებო კომისრად და ლაფსუსად მიიჩნეოდა ამ განაზრახვს. სტეფანე შაუმიანის შთამომავალი კარგი თვალთ ამ თანამდებობაზე არც სერგო ორჯონიკიძის დანიშნვას უყურებდა და გრიგორი პეტროვის, როგორც ჩანს, ამიერკავკასიის ახალი გადასაწილების გეგმა სომხებს დიდი ხნის დამუშავებული პქონდათ და ამიტომაც ვერ ურიგდებოდნენ კავკასიიდან სტეფანეს ალაგმვას, რამაც ბაქოელი სომხები აშკარად დააყენა ახალი გენოციდის საფრთხის წინაშე, თანაც საქართველოს დედაქალაქის დასავლეთ საქართველოში გადატანის მზაკვრული გეგმაც ჩაუვარდა. სომეხი რეაქციონერები კი ამას არავის აპატიებდნენ, თვით "დიდ რევოლუციონერ" სტეფანე შაუმიანსაც კი...

ისევე სტალინი, რომელიც ამ დროს რევოლუციური რუსეთის ეროვნულ საქმეთა სახალხო კომისარი იყო, თავშივე აღნიშნავდა, რომ სტეფანე შაუმიანმა ბევრი უხეში შეცდომები დაუშვა ეროვნებათაშორის ურთიერთობების მოწესრიგებისას ისეთ რთულ რეგიონში, როგორც კავკასია. ყოველივე ამის საპირწინედ კი ლენინის წინაშე აყენებდა საკითხს, რომ "საჭიროა გავამაგროთ ბაქო სამხედრო და ფინანსური თვალსაზრისით, თუ მუსულმანები მოითხოვენ ავტონომიას, უნდა მივცეთ იმ შემთხვევაში, თუ უპირობოდ დაუჭერენ მხარს საბჭოთა ხელისუფლებას, ბაქოს საბჭოსთან აუცილებლად უნდა შეიქმნას მუსულმანური განყოფილება და საჭიროა განვავითაროთ მუსულმანური ლიტერატურა" და სხვა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სტალინი ამ "დათმობებზე" მიდიოდა არა მუსულმანების მიმართ დიდი სიმპათიისა და სიყვარულის გამო, არამედ იმიტომ, რომ კავკასიის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტში გაემდგურებინა საბჭოთა ხელისუფლება, რაც თავისთავად უთხრიდა ძირს სომეხთა ვერაგულ ჩანაფიქრს ბაქოს (და თბილისისაც) პირველ ან მეორე სომხურ ქალაქად გამოცხადების თაობაზე. "თქვენ არასწორად მიუდევით ეროვნულ პოლი-

ტიკას და ერთი ხალხი აამხედრეთ მეორის წინააღმდეგ", წერდა იგი შაუმიანს, ლენინისადმი მის მიერ მიწერილი ბარათის პასუხად, რომელშიც შაუმიანს დიდად ეწადა დაერწმუნებინა ლენინი თავისი ხელისუფლების სიმყარეში და ბაქოს შემოგარენში მდგარი წითელარმიელების უძლეველობაში. საბოლოო ჯამში მან საკუთარი თავი მოატყუა, რადგან ინგლისელმა ინტერვენტებმა, სხვა 26 კომისართან ერთად მიაყენეს კვლავთან სტეფანე შაუმიანიც. მანამდე კი იგი ლენინს სთხოვდა, რომ ახალი სამხედრო ნაწილების ახერხაჯანში გამოგზავნით კიდევ უფრო გაემდგურებინა ბაქოს გარნიზონი. თუ რისთვის გამოიყენებდა ამ ძალებს შაუმიანი, ძნელი ასახსნელი არ არის, რადგან იგი ჯერ თურქების ჯარის მოგერიებას გეგმავდა რუსული და სომხური შენაერთებით, შემდეგ კი ახერხაჯანელებსაც აუგებდა წესს.

მოკლედ, შაუმიანი ისე ჩავიდა საფლავში, რომ ვერ აისრულა სომეხთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება ბაქოსა და თბილისის სომხურ ქალაქებად გამოცხადებაზე. მაგრამ, მალე გამოჩნდა სომხეთის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ალასი ხანჯიანი, რომელიც თავისი პროექტით შევიდა ბერიანთან და არწმუნებდა: "საქართველოს დედაქალაქი ქუთაისში გადავიტანოთ, თბილისი კი კავკასიის (სომხეთის) დედაქალაქად გამოვაცხადოთ". თუ რა ბედი ეწია ბერიანს კაბინეტიდან გამოსულ სულაძელებზე ხანჯიანს, ყველამ კარგად იცის, მაგრამ უცხო მიწების დაპატრონების მსურველ სომხებს რა დალევს და საქართველოს სათავეში მოსულმა სომეხმა სააკაშვილმა ქართველ ინდაურ პარლამენტარებს დიდი ზარხებითა და ტაშის გრიალით მიაღებინა "ისტორიული" გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის ქუთაისში გადატანის თაობაზე. ეს კი იმის წინაპირობა გახლავთ, რომ თუ დავაცალეთ და ნებაც მივცეთ, სააკაშვილი საქართველოს დედაქალაქს მართლაც ქუთაისში გადაიტანს, თბილისის კი თავისუფალ ზონად გამოაცხადებს, რომელიც წამიერად გაივსება სომხებით.

განა ეს არ გახლავთ ისტორიულად არარსებული, ფანტასმაგორიული "დიდი არმენიის აღდგენა" მოწადინებულ სომეხთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება?

ამის ნება და საშუალება კი ნამდვილად არ უნდა მიეცეთ საქართველოს ხელისუფლებაში ჩვენივე დოჟალპობითა და ედუარდ შევარდნაძის სულბინძურობის წყალობით მოხვედრილ ქართველთაგან სომეხებს!

როლანდ ჯალაღანიას, „აიას“ და „ფაზისის“ აკადემიების ნამდვილი წევრი

დაკანონი დაპით ფიფია ზვიად გამსახურდიანს რუსეთთან ნორმალური დამოკიდებულების აღდგენას სთხოვდა

1991 წლის 27 ნოემბერს ზუგდიდელმა ღვთისმსახურმა დეკანოზმა დავით ფიფიამ საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიანს მიმართული წერილი გაუგზავნა. ამ წერილის გაგზავნის მოტივი იყო ხილვა, რომელიც დეკანოზს 1991 წლის 12 აპრილს მოუვლინა. ეს წერილი იმითაც არის საინტერესო, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ეხება, რომელიც ძალიან აქტუალურია ამჟამად. დეკანოზი დავით ფიფია რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მისი წერილი დეკანოზის შვილმა, ეროვნული მოძრაობის აქტიურმა წევრმა - რევაზ ფიფიამ გადასცა.

აი, რას სწერდა დეკანოზი დავითი საქართველოს პირველ (და ჯერჯერობით ერთადერთ კანონიერ - "ილორი") პრეზიდენტს: "თქვენს გეგმა დამოუკიდებლობისა - ეს დიდი საქმეა, მაგრამ დიდად სახიფათო საქმეცაა, იმიტომ, რომ აუცილებლად ხელს შეუწყობს მსოფლიოში მუსლიმანთა ნატვრას (მონოფიზიტი სომეხებისაც - "ილორი"), რათა დაიქცეს საქრისტიანო, დაიშალოს, დასუსტდეს და მერე იოლად დაიმორჩილოს, ე.ი. პრაქტიკულად ქრისტიანობას (მართლმადიდებლობას) დაღუპვით ემუქრება და შესაძლებელია, საქართველოსთვის საბედისწერო აღმოჩნდეს. 9 აპრილის მესამე დღეს მომეცა

ჩვენება - აფორინდი ზეცად, ავედი და დავექი ზეცის ტრაპეზის წინაშე. ჩემს წინ იდგა წმინდა ტრაპეზი, ჩემს მარცხნივ - მთავარანგელოზი და მთხზარ ბრძანების კილოთი: აი, კავკასია! აი, შენი საქართველო! ტრაპეზზე იდო კოლოფი დამწვარი, მთლიანად შავი, წინა და უკანა გვერდები მოჭრილი და ზედა ფენიდანაც გვერდი ამოჭრილი. კოლოფი იყო ცარიელი და დანახშირებული - ჩვენება იყო ცნობად, რომ დამოუკიდებელი საქართველო დაიწვება როგორც სანთელი და წარიწყვინდება როგორც ერი, ისე ბერიც.

თქვენი პირველი პლატფორმა იყო და არის ბრძნული და კეთილი, მაგრამ სამწუხაროა, რომ თქვენ აღარ მოგეცათ მისი გატარების საშუალება. თქვენს გვერდით აღმოჩნდნენ ხელის შემშლელიები, თორემ აგრე აღარ გამწვავდებოდა საქართველოს საქმე და ბედი. მაპატიეთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, თქვენ თუ ვერ შესძლებთ საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალური დამოკიდებულების აღდგენას, საქართველო ნამდვილად დაიღუპება. აი, ეს ჩვენება იმიტომ მომეცა, რომ მეტყვა და არ დამემადა თქვენთვის. ბევრჯერ მოვინდომე, მაგრამ ვერ მეყო გამბედაობა თქვენთვის დღემდე მომეწერა ვეგ საქმე ყოველი. მე ვეადრი უფალს, ღმერთსა ჩვენსა და

დედა მშობელსა, საქართველოს საქმე გადაწყდეს ჩვენ და საბედნიეროდ, ისე, როგორც ეს მაღალ ღმერთს გაეხარებდა. ვინატრე, ღვთის მადლით, ყოველივე კარგად გაკეთდეს და საქართველო გადარჩეს".

თუ რა რეაქცია პქონდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიანს ამ წერილზე, ჩვენთვის დღემდე უცნობია, თუმცა მას ბევრი არ დასცლია, მალე იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კი ყოველწლიურად უარესდებოდა და 2008 წლის აგვისტოში კულმინაციაზე მიაღწია, რამაც, შევარდნაძის მიერ მოვლენილი საქართველოს სომეხი მმართველების გამცემლური საქმიანობის შედეგად, საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა.

ლადო ძირია, ზუგდიდი



საბაბჟვილი მგაფაბ, ტერიტორიების დაბრუნების სანახვლოდ სხეულის ყველა ნაწილი დათმოს


როგორც სააკაშვილმა ქუთაისის მთავრობის სახლში გამართულ პირველ სხდომაზე განაცხადა, „ქუთაისის ცენტრი, რომელსაც ხელისუფლება აშენებს, რუსი სალდათების ადგილი იყო, სადაც ისინი თავის ბინძურ საცვლებს ფენდნენ. ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსს ამ ბინძური საცვლების ლოკა მოენატრა, მაგრამ ეს ქართველი ხალხის სურვილი არ არის“.

„ჩვენ გვინდა, იქ წავიდეთ, სადაც ჩვენი მომავალი დაცული იქნება. ამას წინათ კონდოლიზა რაისმა დაადასტურა ის, რაც ჩვენ ისედაც ვიცოდით, რომ რუსეთის ხელისუფლებას პიროვნულად ეზიზღება ქართველები. მათ მარტო სააკაშვილი კი არ ეზიზღებათ, არამედ შევარდნაძეც ეზიზღებოდათ და შემდეგი ხუთი პრემიერი და პრეზიდენტიც შეეზიზღებათ. ასეთი ინსტინქტი აქვთ, იმპერიული ზრახვებიდან გამომდინარე და არა მხოლოდ მათ. იცით, რომ რუსეთის ეკლესიამ ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა საბჭოთა კავშირის აღსადგენად და ამას ძალიან დიდად გამოხატავს. აქ საუბარი იმაზე კი არ არის, რომ მათ საქართველოს ლიდერის სხეულის რომელიმე ნაწილით ჩამოვიდებოდა უნდაო. მე სიამოვნებით სხეულის ყველა ნაწილს გაუგზავნიდი, თუ საქართველოს ტერიტორიის ნაწილს მაინც დაგვიბრუნებდნენ. მზად ვარ, რამდენსაც ეყოფა ჩემი სხეულის ნაწილები, იმდენი დაგვიბრუნონ. ასი მეტრიც რომ იყოს, მზად ვარ, ჩემი სხეულის ყველა ის ნაწილი დაეთმო, რომელსაც ისინი

მოითხოვენ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მათ მთელი საქართველოს დამონება, დაჩოქება და ყოველგვარი წინააღმდეგობის სურვილის გაქრობა სურთ“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

ამასთან, სააკაშვილმა აღნიშნა, რომ „ჩვენთვის იქ გზა ჩაკეტილია“. „თუ ვინმე უნდა იქ წასვლა, შეუძლია, ქუთაისის აეროპორტში მოსკოვის მიმართულებით ბილეთი აიღოს და მთელი თავისი ბარგი-ბარხანით გაფრინდეს. ჩვენ იქით გაუგზავნით მათ პოლიტიკოსებს, აქვთ კი ბევრ რუს ტურისტს მივიდეთ“, - არც თუ „კბილიანად“ ისურმა პრეზიდენტმა.

მოკლედ, ზღვარი არ უდევს ამ ადამიანის უზრდელობასა და არადიპლომატიურ გამონათქვამებს. როგორც ჩანს, არ ასვენებს მამა-უფალი, და არც მოასვენებს მანამ, სანამ მართლა არ დაჰკიდებენ „ერთი ადგილით“ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. მერე ნამდვილად აღარ ექნება „ანგლობის“ თავი.





რა საფრთხეა მისთვის აფრთხილება ალექსანდრა ჩაჩია ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებას?

(მე-8 გვერდი) - სააკაშვილისა და პუტინის პეტერ-ბურგში შეხვედრამ შეხვედრამ ვერანაირად ვერ იმოქმედა რუსულ-ქართული ურთიერთობების სასიათზე?

- ვერ იმოქმედა და ვერც იმოქმედებდა. მათთვის, როგორ შეიძლება ამ შესაძლებლობის გამოყენებლობა. შეხვედრა აბსოლუტურად მოუშადადებელი იყო. ასეთი რამ იშვიათია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა პრაქტიკაში. მე ვიცი, რომ საქართველოს საელჩო რუსეთში, დიპლომატიური სამუშაოს გარდა, ყველაფრით არის დაკავებული, მაგრამ გაუგებარია, რას აკეთებს საგარეო საქმეთა სამინისტრო და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

ნათელია, რომ სერიოზული შეთანხმებების ბაზად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ საქართველოს თანხმობა, რუსეთ-საქართველოს ჩარჩო ხელშეკრულებაში ჩაიდოს ქართული მხარის ვალდებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო კონტინგენტები არ განთავსდებოდნენ. ამგვარი საერთაშორისო ვალდებულების გარეშე აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემა ვერ მოგვარდება. ისიც ნათელია, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა ამაზე ვერ წავა, რადგან ეს, ასე ვთქვათ, ამერიკული კომპეტენციის საკითხია. რა თქმა უნდა, საწყენია, რომ საქართველო ფორმალური დამოუკიდებლობის 15 წლის თავზეც ვერ გახდა საერთაშორისო ურთიერთობათა დამოუკიდებელი სუბიექტი, მაგრამ ეს ფაქტი და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ორმხრივი თანამშრომლობის გარკვეული საკითხები (ქართული პროდუქციისთვის ბაზრის გახსნა, ერთობლივი ეკონომიკური პროექტები, საერთო რეგიონის შემსუბუქება, პუტინის თანხმობა საქართველოში სტუმრობაზე და სხვ.) წარმატებით შეიძლება გადაწყვეტილიყო ვიზიტის სათანადო მომზადებისა და სხვადასხვა დონის მხარდაჭერის ამოქმედების შემთხვევაში. მაგრამ, როგორც ჩანს, დღევანდელი ხელისუფლების რეალური პოლიტიკა პრიმიტიული პიარაქტივების დონეზე დასულია, რაც, ცხადია, ქვეყნისთვის დამღწველია. თუმცა ბუტყაფორია საქმიანობის ყველა სფეროს განუყოფელ ნაწილად იქცა.

- როგორ მოგეწონათ სამხედრო აღლუმი?

- მე მასხოვს სამარცხვინო აღლუმი, რომელიც შევარდნაძემ აფხაზეთის ჩაბარების შემდეგ გამართა და იმის შემდეგ აღლუმებს აღარ ვუყურებ. რა ეაღლუმება ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიის მესამედი დაკარგული აქვს? არმიის ძალა მწუბორ ნაბიჯში და საბრძოლო შეძახილებაში კი არ არის, არამედ მის უნარში - უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა და უსაფრთხოება.

- ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ ახალ წელს ცხინვალში შეგხვდებით. როგორ ფიქრობთ, თუ ეს არ მოხდება, გადადება?

- მასხოვს, აფხაზეთში ვიგანია ომისას მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი ხაინდრავა იფიცებოდა, ახალ წელს ბიჭვინთაში შეგხვდებითო და სინდისმა არ დაუშალა, ახალ ხელისუფლებამაც კონფლიქტების მოგვარების სახელმწიფო მინისტრის პოსტი დაეკავებინა.

რაც შეეხება ჯარს, პრობლემა გაცილებით დრმა და არსებითია, ვიდრე ბუტყაფორული აღლუმების ჩატარება. ჩვენ დღემდე არ ვიცით, რა საჭიროა არმია და, შესაბამისად, როგორი უნდა იყოს იგი. დღეს საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი, რამდენადაც ვიცი, 200 მილიონ ვეროს, ანუ თითქმის 500 მილიონ ლარს შეადგენს. ეს დაუშვებელი ფუფუნებაა დატაკი ქვეყნისთვის, რომელსაც აქვს პარალიზებული ეკონომიკა და უმუშევრობის კოლოსალური დონე. ამის „დაშვება“ კიდევ შეიძლება, დაკარგული ტერიტორიების ძალის გამოყენებით დაბრუნება ჩვენს პირველხარისხოვანი ამოცანაა რომ იყოს, მაგრამ ხომ კარგად ვიცით, რომ რუსეთთან და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ჩვენი ამჟამინდელი ურთიერთობების პირობებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალის გამოყენებით დაბრუნების ნებისმიერი მცდელობა მარცხისთვის არის განწირული? მეტიც, - საქართველოს ვერასოდეს ეყოლება არმია, რომელიც ისეთ მოწინააღმდეგეს შეერკინება, როგორც

რუსეთია. მე მგონი, ეს ცხადია. გარდა ამისა, აშშ, ნატო, ევროპული სტრუქტურები კატეგორიულად გამორიცხავენ ჩვენი კონფლიქტების ძალის გამოყენებით გადაწყვეტას. თუმცა, ამავე დროს, ქართული არმიის მშენებლობასა და წვრთნას აფინანსებენ. რაში სჭირდება ნატო-ს 12 ათას 500 ქართველი ჯარისკაცი? ბუნებრივია, ეს ნატო-ს არ სჭირდება, მაგრამ ერთი ქართული ბატალიონის ერთეული გაგზავნა ამერიკელებს წელიწადში 300 მილიონი დოლარის ეკონომიას აძლევს, ანუ საკუთარი ჯარისკაცების გაგზავნა და შენახვა მათ 300 მილიონი დოლარით უფრო ძვირი დაუჯდებათ. სხვათა შორის, ჩვენს ჯარისკაცებს საყარაულო ფუნქციისთვის წვრთნიან. დღეს ერთეულში 852 ქართველი სამხედროა. იაპონელებმა კი ამ დღეებში ერთიდან საკუთარი კონტინგენტის გაყვანის შესახებ განაცხადეს. ბუნებრივია, ამერიკელებს ხელს აძლევს საკუთარი მიზნებისთვის სხვისი, მით უფრო, იაფი ჯარისკაცების გამოყენება. ვფიქრობ, მალე ქართული კონტინგენტი გაიზრდება.

არმიასთან დაკავშირებით კიდევ ერთ კახუსთან გვაქვს საქმე. საქართველოს ხელმძღვანელობა კონფლიქტის ზონებიდან სამშვიდობო ძალების გაყვანას მოითხოვს, ამის პარალელურად კი არმიის გაძლიერების, ცხინვალში ახალი წლის შეხვედრის და სხვა ამის მსგავსი განცხადებებს აკეთებს. ამით ჩვენ მსოფლიო საზოგადოებრიობას ვამცნობთ, რომ მშვიდობის-მყოფელთა გაყვანის შემდეგ ომს დავიწყებთ. განა ეს ნორმალურია? გამოდის, სამშვიდობო ძალების გაყვანას იმიტომ მოვიტხოვთ, რომ ისინი ომის დაწყებაში გვიშლიან ხელს, მაგრამ მათი მოვალეობა ხომ სწორედ ეს არის!

- თქვენ ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსი ბრძანდებით, რომელმაც აშშ-ის საელჩოსთან საპროტესტო მიტინგი გამართა ერთეულში ომის დაწყების წინააღმდეგ. რა გამოძრავებდათ?

- ერთეულში ომის წინააღმდეგ ნახევარი მსოფლიო გამოდის - იმ სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებიც თავისუფალი არიან აშშ-ზე კოლონიური დამოკიდებულებისგან, არაანგაპორებული საერთაშორისო ორგანიზაციებში, უბრალოდ, წესიერი ადამიანები სხვადასხვა სახელმწიფოდან ამ ომს ეწინააღმდეგებიან. ყველაზე მძლავრი დემონსტრაციები, სხვათა შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში გაიმართა. საქართველოში მთავრობაც და პოლიტიკური პარტიებიც ამერიკელებს შესცივინებენ თვალბუნი და ამ მხეცურ აგრესიას მიესალმებიან. ერთეულში შეკრა ყველა პატიოსანი ადამიანისთვის მრავალი მიზეზის გამო არის მიუღებელი. ჯერ ერთი, ამერიკელებმა ეს თვითნებურად - გაეროს სანქციის გარეშე ჩაიდინეს, ანუ ფაქტურად გათვალეს მსოფლიო მართლწესრიგი, საერთაშორისო სამართალი, რომელიც ასე თუ ისე, უზრუნველყოფდა მსოფლიოში სტაბილურობასა და გლობალურ უსაფრთხოებას. მეორეც, ამერიკელებმა იმის დემონსტრირება მოახდინეს, რომ ცალკეული ქვეყნების სუვერენიტეტი ფიქტია და სხვა სახელმწიფოზე თავდასხმა შეიძლება მხოლოდ „ძალის უფლებით“, ანუ მსოფლიო საყოველთაო ქაოსის საფრთხის წინაშე დააყენეს. მესამეც, ისინი ატყუებდნენ საკუთარ ხალხსაც და მთელ მსოფლიოსაც, რომ სადამი მასობრივი განადგურების იარაღს ფლობს, თუმცა დანამდილებით იცოდნენ, რომ ეს ასე არ იყო. ისინი მხოლოდ საკუთარი ნავთობინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, მათ შორის, ოჯახური ბიზნესის ინტერესებით, როგორც, მაგალითად, პრეზიდენტი ბუში და ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი. ახლახან აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდიანმა კოლინ პაუელმა ბოდიში მოიხადა მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე იმის გამო, რომ იძულებული იყო, საჯაროდ ეთქვა ტყუილი ერთეულ მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ. სინდისმა შეაწუხა კაცი, სხვათა შორის, იმ პერიოდში შევარდნაძემ მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ თავისი დაზვერვის მიერ მოპოვებული უცილობელი მონაცემები აქვს ერთეული მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ. მაშინ ევროპაში ბევრი იცინეს მლიქნელი მარიონეტის ყალბ ტიტინზე. დარწმუნებული ვარ, შევარდნაძეს

სინდისი ვერ აიძულებს, ბოდიში მოიხადოს. მეოთხეც, ერთეულში შეკრით ამერიკელებმა სტიმული მისცეს მსოფლიოში ბირთვული შეიარაღების ახალ რბოლას, რადგან ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელსაც არ უნდა ამერიკის კოლონიად იქცეს, ნათელი გახდა, რომ ამერიკის თავდასხმისგან თავის გადასარჩენად ბირთვული იარაღი უნდა იქონიონ. ერთეულში მართლაც პქონოდა ბირთვული იარაღი, ამერიკელები არასდროს შეყოფდნენ იქ ცხვირს. ერთეულში ბოდი აიძულებს დღეს ირანს ბირთვული პროგრამის ფორსირებას. მეხუთეც, ერთეულში ომით ამერიკელებმა გააღვივეს ცივილიზაციური წინააღმდეგობანი ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის, რომლის შემდგომმა ესკალაციამ მსოფლიო საყოველთაო კატასტროფამდე შეიძლება მიიყვანოს. მისი ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი, შესაძლოა, სწორედ საქართველო გახდეს. მეექვსეც, ამერიკელებმა სრულიად და დიდი ხნით მოახდინეს არა მარტო დემოკრატიის იდეის, არამედ თვით სიტყვა „დემოკრატიის“ დისკრედიტაცია; როცა 50-100 მშვიდობიანი ერთეულის ყოველდღიური დაღუპვის ფონზე ბუში „ერთეული დემოკრატიის“ ფორმირებაში ამერიკელთა წარმატებებზე აღაპრობს, „დემოკრატია“ და „კაცობრიობა“ ადამიანთა ცნობიერებაში იდენტურ ცნებებად იქცევა. მეშვიდეც, გარდა ათი ათასობით ადამიანის მკვლელობისა, ამერიკელებმა დაბომბვებით კაცობრიობის ისტორიის უდიდესი ძეგლები, ფაქტობრივად, მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი გაანადგურეს, მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმები გაძარცვეს, კაცობრიობას, პრაქტიკულად, წაართვეს მისი ისტორიის მთელი პლასტიკი. კიდევ ბევრი ფაქტორის ჩამოთვლა შეიძლება, რამაც ამ ომის დანაშაულებრივი, ანტიადამიანური ხასიათი განაპირობა და რომელიც კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ჩემი დრმა რწმენით, საქართველო ამ ომში არ უნდა მონაწილეობდეს.

- როგორ ფიქრობთ, ამერიკელები ირანის წინააღმდეგ ომს დაიწყებენ?

- რთულია რაიმეს პროგნოზირება, როცა ისეთ კურორტულ ვეროგნის ვეხებით, როცა ერთეულ ბუში და მისი გარემოცვა. ახლახან შეერთებულ შტატებში სოციალოგიური გამოკითხვა ჩატარეს, რათა გაერკვიათ, ვის მიიჩნევენ ამერიკის მოსახლეობა ყველაზე სულელად. პირველ ადგილზე მომდერალი მაიკლ ჯეკსონი გავიდა, მეორეზე - ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი, მესამეზე - თავდაცვის მინისტრი რამსფელდი, მეოთხეზე - პრეზიდენტი ბუში. ამერიკელ ჟურნალისტებს გაუკვირდათ, თუ რატომ არ აღმოჩნდა ბუში პირველ ადგილზე. ამიტომ რთული განსახილველია, რამდენად ჭკუის სასწავლებელი აღმოჩნდა ერთეული ამოცდილება ამგვარი ცნობები შესაძლებლობის ადამიანებისთვის. თუმცა ვფიქრობ, რომ ამერიკის საზოგადოება არ მისცემს მათ საშუალებას, ჩათრიონ ქვეყანა კიდევ ერთ სამხედრო ავანტიურაში. ამერიკელებს ხომ არაფერი გამოსდით ერთეულში. ამერიკელი ჯარისკაცები ყოველდღე იღუპებიან, ერთეულებს სძულთ ისინი, ნავთობის გატანა მეტად გართულებულია, ქვეყანას შინაგანი წინააღმდეგობანი ანგრევს, ბოლოს და ბოლოს იგი სამ ფსევდოსახელმწიფოდ დაიშლება და სამივე მტრული იქნება როგორც ამერიკის, ისე მთელი ქრისტიანული სამყაროს მიმართ. ანალოგიური ვითარებაა ავღანეთშიც. ამერიკელები მხოლოდ ქაბულს აკონტროლებენ, დანარჩენი ტერიტორია თალიბების ხელშია; და თუ ამერიკელების შეჭრამდე ავღანეთიდან ყოველწლიურად 20 ტონა ნარკოტიკები გაიზიდებოდა, ახლა ეს მაჩვენებელი 300 ტონამდე ავიდა. ორი ომიდან არც ერთმა არ მოიტანა ის შედეგი, რასაც ბუში ელოდა. ხელისუფლების უკან მდგომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე, მათ შორის ნავთობკომპანიებსაც, ალბათ, ესმით, რომ ამ მეთოდით პრობლემებს ვერ მოგვარებ, დაკარგვით კი ბევრს დაკარგავ, თუ ყველაფერს არა. მაგალითად, ცნობილია, რომ ირანის დაბომბვის შემთხვევაში ნავთობის მსოფლიო ფასი 3-5-ჯერ გაიზრდება. თუმცა ომის დეტალები გვამა, რომელიც 70 ირანელი ობიექტის დაბომბვას ითვალისწინებს, უკვე შემუშავებულია. დემთმა ნუ ქნას, რომ საომარი მოქმედებების მსვლელობისას თუნდაც ერთი ირანელი რაკეტა ჩამოვარდეს

საქართველოში ან ისლამურმა სამყარომ საქართველო ამ ომში ამერიკის მოკავშირედ მიიჩნიოს.

- რა დამოკიდებულება გაქვთ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ობიექტების უცხოელ მესაკუთრებზე გაყიდვის მიმართ?

- რადიკალური ლიბერალური ეკონომიკის მომხრე არა ვარ, ფრიდმანისა და საქსის თავყანისცემელი არ გახლავართ, მათ ეკონომიკურ მეცნიერებათა ავანტიურისტებად მივიჩნევ, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შემსრულებელ მათ მომხრეებს - საკუთარი ქვეყნების დამღუპველებად. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მომხრე ვარ, სახელმწიფო რეგულაციების დიდი წილით. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფო უნდა ფლობდეს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას განსაზღვრავს. ამიტომ ვარ საქართველოს სახალხო მეურნეობის მთლიანი პრივატიზაციის წინააღმდეგი. მესმის, რომ ხელისუფლებას ბიუჯეტის შევსება სჭირდება, ხოლო მკვდარი ეკონომიკის პირობებში ერთადერთი საშუალება ეროვნული სიმდიდრის გაყიდვაა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს რეზერვი ძალიან მალე ამოწურება, გასაყიდი აღარაფერი დარჩება. მერე რაღა ვქნათ? ამიტომ 90-იანი წლების შუახინდან ვთავაზობდი ეკონომიკური განვითარების მოდერნიზაციულ მოდელს, ანუ ეროვნული ეკონომიკის მოდელს, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში უნდა განვითარდეს. მაშინ ჯერ კიდევ გვქონდა სერიოზული პოტენციალი, მაგრამ შევარდნაძემ მისი საფუძვლამდე დანგრევა მოახერხა. რაც დარჩა, დღევანდელმა ხელისუფლებამ გაყიდა. ამიტომ შემდგომ ხელისუფლებას, თუ იგი ეროვნულად ორიენტირებული იქნება, უკვე ეკონომიკის სამობილიზაციო მოდელის რეალიზება მოუწევს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ იმ დროისთვის საქართველო საბოლოოდ არ გადაიქცევა კოლონიად, რომელსაც საკუთარი ეკონომიკა არ სჭირდება.

- მაგრამ ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდაა და მალე საქართველო ტურისტულ სამოთხედ იქცევა... - ტურისმი და ტრანზიტი საქართველოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნად ვერ აქცევს. ეს ედუარდ ბაბუს ზღაპრებია. გარდა ამისა, ეს სფეროები არ ეთანხმება ქართველი ხალხის ეროვნულ თავისებურებებს და ისტორიულ მისწრაფებებს; საჭირო გახდება ერის სულთმოფენობის საფუძვლების ნგრევა, ამას კი ერის დეგრადაცია, მისი გადაგვარება მოჰყვება.

- რა თქმა უნდა, ტურისმი და ტრანზიტის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ეს ეროვნული ეკონომიკის მხოლოდ ნაწილი უნდა იყოს. საქართველოში არასოდეს იქნება იმდენი ტურისტი, რამდენიც დღეს ესპანეთში ჩადის, მაგრამ იქაც ტურისტის შემოსავლები ესპანეთის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს, თანაც ესპანეთი სულაც არ არის მდიდარი ქვეყანა. ეროვნული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელსაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება შეუძლია. ეს თანამედროვე მსოფლიოს აქსიომაა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ გავუწვევთ კონკურენტუნარიან და დამღუპველ ბევრ საწარმოო დარგში: ამისთვის შესაბამისი ბუნებრივი, ადამიანური და ფინანსური რესურსები არ გავყვანია, მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთი რამ: საბჭოთა დროიდან დარჩენილი სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალი. ჯერ კიდევ გვყავს უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, ფუნდამენტური მეცნიერების დიდი ტრადიციები და საკადრო ბაზა. ეს პოტენციალი საკმარისია იმისთვის, რომ შეიქმნას თანამედროვე, კონკურენტუნარიანი სამრეწველო წარმოების ორი-სამი მეცნიერებატექნად, მაღალტექნოლოგიური დარგი. ამ ამოცანის გადაჭრისთვის 10-15 წლის წინ რომ მოეკიდებინათ ხელი, დღეს საქართველო ღირსეული სახელმწიფო იქნებოდა, თუმცა ჯერაც არ არის გვიან. (გაგრძელება მე-11 გვერდზე)



# ოთარ ქორქია

(გთავაზობთ წერილს (ნაწევრებს) ბატონ არჩილ გოგელიას წინიდან "ასეთია საერთო უკეთესი")

კალათბურთი... ამ სიტყვის წარმოქმნისას ქართველ კაცს თავისებური ასოციაცია უჩნდება. იგი დაკავშირებულია სპორტის სახეობასთან, რომელიც მას გამორჩეულად უყვარს. კალათბურთის ელვისებური რიტმი, ფერადოვანი სიუჟეტი, უშუალოდ ფანტაზია და თავდასხვევები სისწრაფე, გამომხატველი ჩვენი საუკუნის დაუდგომელი დინებისა, დიდად ახლობელი და ძვირფასია სპორტის მოყვარულისათვის. თითოეულ ჩვენგანს აქვს კალათბურთის ჯადოქართა ინტელექტური დღისი. ამ ნუსხაში განსაკუთრებით დღავს ოთარ ქორქია.

ოთარ ქორქია საქართველოში ბარე რამდენიმე ათეული წელია კალათბურთის სინონიმად იქცა. ეს ლამაზი ფრაზა არ არის. დაუკვირდი, მკითხველო, თუკი სპორტი გიყვარს, თუკი კალათბურთში ასე თუ ისე გათვითცნობიერებული ხარ, განა შენშიც ასეთსავე ფიქრს არ იწვევს ქორქიას სხვენა?

გარკვეული დროის მანძილზე ოთარ ქორქია საბჭოთა კალათბურთის უპირველესი ვარსკვლავი, მისი მშენებელი და სიამაყე იყო. ძალიან ხშირად ვიხსენებ სიტყვას "ლეგენდას" ამა თუ იმ ვეტერან სპორტსმენის მიმართ, მაგრამ ქორქიას სპორტული კარიერა დიდად ლეგენდის ტოლფასია, თანაც ისეთი ლეგენდისა, რომელსაც ყავლი არასოდეს გასდის. მას იმთავითვე ჰყავდა ურიცხვი თავყანისმცემელი; გულშემატკივარი და დამფასებელი არ მოკლებულია მას შემდეგაც, რაც უკანასკნელად ისროლა ბურთი კალათში. მისი დიდი, მკაფიო ნიჭი დღემდე მაგიურ ზემოქმედებას ახდენს ნორმალურად განვითარებული იცნობს კალათბურთის ჯადოქარის თამაშს. ასე რომ, ოთარ ქორქიას პოპულარობამ გაუძღო დროს - ყველაზე მკაცრ, სასტიკ, მაგრამ სამართლიან მსაჯულს.

ახელია დღეს დაიხატოს ოთარ ქორქიას სრულფასოვანი პორტრეტი. დიას, ასეთ ადამიანზე წერა ახელია, რადგან, რაც უნდა ბევრი თქვა მისი უმდიდრესი სპორტული ცხოვრების შესახებ, მკითხველს მაინც მეტი უნდა გაისხნოს, მეტი აინტერესებს.

ტერმებს. ერთი იტყვიან, რომ გამოგვრჩა რომელიღაც ყველაზე ნიშანდობლივი საკალათბურთო ეპიზოდი, მატჩი, ტურნირი, ჩემპიონატი (მაგრამ როგორ აღვუხსოთ ოთარ ქორქიას ბრწყინვალე კარიერის თითოეული საფეხური, როგორ გავადევნოთ თვალი კალათბურთის ტიტანის სპორტულ გზას, რომელიც მოზრდილი წიგნის ღირსი უფროა, ვიდრე მოკრძალებული წერილისა?); მორენი იტყვიან, რომ რაღაც დავაკელით ოთარ ქორქიას ცხოვრების ქუთაისურ ან თბილისურ პერიოდებს. აღმოჩნდებიან სხვა ოპონენტებიც, რომლებიც გულბატკნი დარჩებიან, რატომ დეტალურად ვერ გადმოვყვებით, ვთქვათ, დაუვიწყარი მატჩი ამერიკელებთან ჰელსინკის ოლიმპიადაზე, როცა ოკეანისგამდგამა გოლიათებმა ხელისუფლები გაუპეს საბჭოთა გუნდის ლიდერს და ამით, როგორც იქნა, ოდნავ შეანელებს მისი ჯიქური ღტოლვა თავიანთი ფაჩიხისკენ...

მაინც სხვა შნო და ლაზათი ჰქონდა ოცდაათიანი წლების სპორტს, თუმცა, მაშინდელი ფიზიკურულ-სპორტული მოძრაობა დღევანდელს ოდნავადც კი ვერ გაუტოლდება მასობრიობით, განვითარებით, მანერებლებით. ეს ალბათ იმიტომ ხდებოდა რომ იმ დროს ბევრისათვის, თქვათ, კალათბურთის გუნდში თამაში წარმოედგინებოდა ფუფუნება და ოცნება იყო...

...ჭინჭის ბურთი, კასრის მგოლი, ბავშვური ჟრიაში, შემდეგ კი მეოთხე ათწლეულის სკოლის მახლობლად მდებარე ბაღში "ველური" კალათბურთელები... თითქოს ახლაც თვალწინ მიდგას მაღალ-მაღალი, გამხდარი, თანატოლებთან შედარებით სუსტი ყმაწვილი. იგი თანატოლებთან დიდიან დადამებამდე დაუღლედა თამაშობდა, კამათობდა, დაობდა, ოცნებობდა მაყურებლებით გადაჭყდილ სპორტულ დარბაზზე, სადაც "რჩეული" ნამდვილ კალათბურთს ასწავლის ცნობილი მწვერთელი გივი კილაძე. ეს ყმაწვილი დროდადრო მიდიოდა სპორტდარბაზთან, მეოცნებე სახით ფანჯრის მი-

ნას მიეყრდნობოდა და გაფაციცებით აღვინებდა თვალყურს ნამდვილი ბურთით მოთამაშე კალათბურთელებს. ერთხელ ბურთმა შუშა ჩამასხვრია და ყმაწვილი სახედასისხლიანებული დაბრუნდა შინ რითაც უზომოდ დააშინა ახლობლები. ეს ყმაწვილი ოთარ ქორქია გახლდათ, რომელსაც სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ შეუყვარდა კალათბურთი სისხლხორციელად. ერთ მშვენიერ დღეს "ნამდვილმა" კალათბურთელმა ოთარ ქორქიამ შეიძინა გინდა კალათბურთზე მიგიყვანო? მიიყვანეს გივი კილაძესთან, რომელმაც მეორე დღისათვის დაიბარა. დაიწყო ვარჯიში. ეს იყო 1937 წელს, როცა თბილისში ჩამოვიდა ქუთაისის მოსწავლეთა ნაკრები საქართველოს პირველობაზე მონაწილეობის მიხედვად. სწორედ მაშინ "შეამჩნიეს" ოთარ ქორქია.

1941 წელს, როცა ოთარი ბათუმში იმყოფებოდა კალათბურთელთა შეჯიბრებაზე, დიდი სამამულო ომი დაიწყო. კალათბურთი ვიდას ახსოვდა. ოთარი დღე და ღამე ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში მუშაობდა, რათა საკუთარი შრომით ფრონტს დახმარებოდა. სწორედ აქ გამოადგა სპორტული წრეობა და ამტანობა, თან იმის დროც გამოინახა, რომ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ესწავლა რუსული ენისა და ლიტერატურის განხრით.

1943 წლის მიწურულს კურორტ წვადტუბოში დასასვენებლად და თამაშისას მიღებული მძიმე ტრავმის მოსაშუშებლად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის საუკეთესო კალათბურთელი კონსტანტინე ტრავინი, რომელსაც, როგორც ცენტრალურ თავდასხმელს, საბჭოთა კავშირში ბაღალი არ ჰყავდა. მაშინ ტრავინმა დიდი დახმარება გაუწია კალათბურთით დაინტერესებულ ქუთაისელ ახალგაზრდებს. მერე, მისი შემწევობით, ქუთაისლები მოსკოვში მიიწვიეს და იქ გაიმართა მატჩი ადგილობრივ "დინამოსა" და ქუთაისის ნაკრებს შორის. შემდეგ ქართველი სპორტსმენები უკრაინის დედაქალაქს - კიევს ეწვივნენ.

ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა კავშირში გაიმართა "მცირე" საკავშირო ტურნირი. ამ ტურნირში რვა ქალაქის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, სადაც პირველი ადგილი მოსკოველებმა დაიკავეს, მეორე - კუნასელებმა, მესამე ადგილი კი ქუთაისელებმა ახალგაზრდა კალათბურთელებმა დაიხადეს. ალბათ მაშინ გადაწყვიტეს საბჭოთა კალათბურთის მესვეურებმა, რომ ქუთაისელი ოთარ ქორქია მათ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა.

ასე მოვიდა ოთარ ქორქია დიდ კალათბურთში. ამ წლებში თბილისისა და ქუთაისის საკალათბურთო გუნდები გაერთიანდნენ და ოთარიც, იქნადა მოყოლებული, თბილისის "დინამოს" სპორტულ ღირსებას იცავდა. ერთი წლის შემდეგ კი ოთარ ქორქიამ მტკიცედ დაიკავა ადგილი საბჭოთა კავშირის ნაკრებში. ეს მოხდა 1947 წელს...

ოთარი 1955 წლამდე საბჭოთა კალათბურთის ღირსებას იცავდა და ამ ხნის განმავლობაში, გუნდთან ერთად, სამჯერ მოიგო ვეროის ჩემპიონატი, ერთხელ მაიორის პრიზი მოიპოვა, ერთხელ კი ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალს დაეუფლა. არანაკლებ სასიხარულო და სამაგიერო იყო ოთარ ქორქიასათვის ის, რომ იგი თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ერთხელ კი საბჭოთა კავშირის თასსაც დაეუფლა...

სწორედ ამ პერიოდმა გაუთქვა სახელი ოთარ ქორქიას, როგორც საბჭოთა კავშირის ნაკრების სწორუკარ ცენტრალურ თავდასხმელს, როგორც საბჭოთა კავშირის საკალათბურთო ნაკრების კაპიტანს, როგორც კალათბურთის მოედნის ჯენტლმენს (საფრანგეთში გამართულ ვეროის ჩემპიონატზე მას სპორტულმა შურნალისტებმა "ულვაშებიანი ჯენტლმენი" დაარქვეს).

დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ ოთარ ქორქიამ სამწვრთნელო საქმეს მოჰკიდა ხელი და სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიპოვა თბილისის "დინამოს" ვეროის ჩემპიონთა თასი. დღემდეც კი ეს გახლავთ ქართული კალათბურთის უდიდესი წარმატება მთელი მისი ისტორიის მანძილზე.

## იუმორი

\*\*\*  
ჭიჭიკია ეკითხება ნაზიკას:  
- რას იზამდი, ახლა, შენთვის რომ მეოცნა?  
- ვიკივლებდი, მიშველეთოთქვა!  
- მერე, რა მოხდებოდა?  
- არაფერი. სახლში არაგინაა.

\*\*\*  
- ექიმო, დარწმუნებული ხარ, რომ ორსულობის 23-ე კვირაზე ვარ და არა 27-ზე?  
- აბსოლუტურად!  
- ღმერთო, ჩემო, სხვაზე გავთხოვდი!...

\*\*\*  
ქმარი: ძვირფასო, როგორ ფიქრობ, ჩვენს ცხოვრებაში მრავალფეროვნების შესატანად ერთმანეთისათვის ხომ არ გვედღალატა?  
- უკვე გვადგა აზრი არა აქვს.

\*\*\*  
- აღიარეთ, რომ მიგრალმა ბიბლიოთეკაში ქალს შეურაცხყოფა მიაყენეთ!  
- ვადიარებ! აბა, კაცო, რაა ეს სიმთვრალე! ფხიზელს ბიბლიოთეკაში რა შემიყვანდა?

\*\*\*  
- რაა ხარ, თუ იცი?  
- ქე ვარ პამპერსივით!  
- მაი რაფრა?  
- ვისრუტავ და ვისრუტავ ამ უბედურ ცხოვრებას.  
\*\*\*  
- მგონი ჩემმა მეზობელმა არაფერი გამოხდა.  
- რა იცი?  
- მისი წიწილები ჩემს ინდურებს ურტყავენ!

## ჩვენ გვყავს სოხალაი ლეგენდა

მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი იუბილარია. სრულიად საქართველომ მწერალს იუბილე მიულოცა: „ცოცხალი ძეგლი გვყავს, ცოცხალი ლეგენდა და ვერ ვაცნობიერებთ დღეს კიდევ მგონი, ბოლომდე... არ გვეხმის, ვინ გვყავს ჩვენ და ვერ ვაცნობიერებთ კარგად და ვერ ვაკეთებთ იმას, რაც უნდა გავაკეთოთ“.

მასმედიაში კი შემდეგი შინაარსის განცხადება გაავრცელა: „ბატონო ჭაბუა, თქვენი ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ერთი ადამიანის მიერ განვლილი წლები და ნაზრევა მთელი საზოგადოება. თქვენ ხნობრივი გმირის სახე შექმნით მაშინ, როდესაც ბოლშევიზმი ყველაფერს აკეთებდა ჩვენი სულების დასაცინებლად. ამ გმირმა უკვე თაობები აღზარდა და გზაც გააკლავინა ჩვენს ურთულეს სამყაროში.“

მეტადრე იგი გვეჩვენებს დღეს, როდესაც ქვეყანას დაუფლებენ ადამიანები, ვისთვისაც ჩვენ მხოლოდ ისტორიის საშენი მასალანი ვართ და ვისაც ერთი ადამიანის მიერ მეორისთვის გაწეულ სიკეთეშიც კი ანგარებისა და ბოროტი ზრახვის ამოკითხვა შეუძლია. ღვთის მადლი და თქვენი და თქვენისთანების ნაზრევის შემწევობით ჩვენ ყველანი მათაც დაგვლევთ და ერთად აღვისრულვით ქართულ ოცნებას.

სულით და გულით ვილოცავთ იუბილეს! დაე კიდევ მრავალ წელს გვყავდეთ, კიდევ მრავალ წელს მოგვეგებოდეს თქვენი ფხიზელი ხნობრივი თვალი!



## 49 მილიონი ლარი სვანეთში სათხილაპრო კურორტის განვითარებისთვის

მთავრობამ ზემო სვანეთში სათხილაპრო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 49 მილიონი ლარის გახარჯვა გადაწყვიტა. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის პირვანდელ ვარიანტში სათხილაპრო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის თანხა საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

გადამუშავებულ ვარიანტში კი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაფინანსებაში ახალი მუხლი გაჩნდა - სათხილაპრო ინფრასტრუქტურის განვითარება ზემო სვანეთში. ეს პროექტი სულ 49 მილიონი ლარი უნდა დაჯდეს, საიდანაც 8 მილიონი საბიუჯეტო სახსრებზე მოვა, 41 მილიონი კი - ალბუელ კრედიტზე.

და ეს მაშინ, როცა სვანეთის შეუფასებელი საგანძური ლამის ღია ცის ქვეშ ყრია და მალე სრულ განადგურებად არაფერი დააკლდება. მაგრამ, რაში ადარდებთ სომხებს ქართული საგანძურები?

## ქაცხის სვები: მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება

"ეკლესია სამოთხის გზაზე" - ასე ქვია სტატიას, რომელიც ერთ-ერთმა უცხოურმა საიტმა ქართულ ძეგლს მიუძღვნა.

აგებოდა ვერ მალავს ნაგებობის ხილვით გამოწვეულ აღფრთოვანებას და მკითხველს საქართველოში ჩამოსვლას ურჩევს. "ეს ჯორჯია, ოღონდ არა ის ჯორჯია, რომელიც ამერიკაშია. ეს არის პატარა ქვეყანა ვეროისისა და აზიის საზღვარზე. ქვეყანა, რომელიც სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას და პოლიტიკური წინხის ქვეშ იმყოფება", - წერს საიტი.

"ქაცხის სვები" ქალაქ ჭიათურადან 10 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.



ეკლესია 6-8 საუკუნეებშია აშენებული.

არსებობს რწმენა, რომ ადამიანი, რომელიც მასში გარკვეულ დროს დაჰყოფს, დამკრთხ უახლოვდება.

ფოტო ივანე ბოლიბაძის

ISSN 1987-8966 ილორი  
ავტორებს უპირატესად პასუხისმგებლობა დაეკისრება და მომხმარებლის სიუხარება

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული  
სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანი  
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თამარ ქორიძე, თანგიუ ჯუღაშვილი, კლინაფი შალია, გივი სოფიანი, ანსორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუზარ სალაყია (ბალი)  
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ როდრიგოვილი  
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე  
WWW.saqinform.ge